საქართველოს გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროს პოლიტიკასა და კანონმდებლობაში

გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის

სწრაფი ანალიზი

კვლევის ავტორები:

მაია ავაღიანი | გენდერის კონსულტანტი

ეკატერინე ოთახაშვილი | იურიდიული კონსულტანტი

დოკუმენტი მომზადდა ავტორების მიერ გაერთიანებული სამეფოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის (WFD) პროგრამის “გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებისადმი მედეგობის და დემოკრატიული მდგრადობის ხელშეწყობა საქართველოში” ფარგლებში.

აღნიშნულ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ ასახავდეს გაერთიანებული სამეფოს მთავრობისა და ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის მოსაზრებებსეს.

სარჩევი

1. შესავალი 6

1.1. მიზნის აღწერა და ანალიზის მნიშვნელობა 6

1.2 გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროში არსებული პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტების მიმოხილვა 9

1.3. კლიმატის ცვლილების, გარემოს დაცვის, გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის ურთიერთკავშირი 11

2. მეთოდოლოგია 20

2.1. სამაგიდო კვლევა 20

2.2. ანალიტიკური ჩარჩო - გენდერული ანალიზის ინსტრუმენტები და მიდგომები 21

3. ანალიზის შედეგები 26

3.1. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (2022-2026) 26

3.2. საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია 30

3.3. საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა 34

3.4. საქართველოს გრძელვადიანი დაბალემისიიანი განვითარების კონცეფცია 39

3.5. ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია 43

3.6. საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია 46

3.7. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ 49

3.8. საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი 51

3.9. საქართველოს კანონი წყლის რესურსების მართვის შესახებ 55

3.10. საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ..... 58

3.11. საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ 61

3.12. საქართველოს კანონი ტყის კოდექსი 65

3.13. საქართველოს კანონი ნარჩენების მართვის კოდექსი 67

3.14. საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ ... 68

3.15. საქართველოს კანონი სამრეწველო ემისიების შესახებ 69

4. ძირითადი მიგნებები 74

5. რეკომენდაციები 79

6. დანართი 83

1. შესავალი

1. შესავალი

1.1. მიზნის აღწერა და ანალიზის მნიშვნელობა

საქართველოს გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროს პოლიტიკასა და კანონმდებლობაში გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის ინტეგრაცია მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელიც ასახავს როგორც ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებს, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებს. დღეს, როდესაც გარემოს დაბინძურება და კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების ხარისხზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებულ პროცესებში გაერთიანდეს გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის პრინციპები.

გენდერული თანასწორობა და სოციალური ჩართულობა მდგრადი განვითარების განუყოფელი ნაწილია. ის უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა წევრის მონაწილეობასა და სარგებელს კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დაცვის სფეროს პოლიტიკის დაგეგმვასა და წარმატებით განხორციელებაში. ქალებისა და სხვა სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების[1] მოთხოვნილებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება და მათი მონაწილეობა პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში ხელს შეუწყობს უფრო ეფექტიანი და ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღებას.

1 **სპეციფიკური საჭიროების მქონე ჯგუფი** - ისეთი ადამიანების ჯგუფი, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული საჭიროებები ან ფიზიკური, სოციალური, ეკონომიკური ან კულტურული მდგომარეობიდან გამომდინარე დგანან სპეციფიკური გამოწვევების წინაშე. ამგვარი ჯგუფები შეიძლება მოიცავდეს: ბავშვებს, ქალებს, კაცებს, შშმ პირებს, ხანდაზმულებს, მრავალშვილიან ოჯახებს, მარტოხელა მშობლებს, დევნილებს, ლტოლვილებს, მიგრანტებს, ლგბტქი+ თემის წარმომადგენლებს, რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებს, სოციალურად და ეკონომიკურად დაუცველ პირებს და სხვა;

აღნიშნული ანალიზის მიზანია შეაფასოს, თუ როგორ არის ინტეგრირებული გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის საკითხები საქართველოს გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროს პოლიტიკასა და კანონმდებლობაში, როგორ ასახავს არსებული საკანონმდებლო ბაზა ქალებისა და სხვა ჯგუფების საჭიროებებს, და ასევე, რამდენად უზრუნველყოფს ის მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვას. ანალიზი ორიენტირებულია არსებული პოლიტიკის დოკუმენტებისა და კანონების შეფასებასა და იმ ხარვეზების გამოვლენაზე, რომლებიც ხელს უშლის გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის პრინციპების სრულფასოვან ინტეგრაციას პოლიტიკისა და კანონმდებლობის აღსრულების პროცესში.

ამ ანალიზში ასევე წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება დაინტერესებულ მხარეებს გენდერულად სენსიტიური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. რეკომენდაციები ხელს შეუწყობს გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროს პოლიტიკის მეტად ინკლუზიურობას, რაც უზრუნველყოფს მდგრად განვითარებას, საზოგადოების ყველა წევრის მონაწილეობასა და სარგებელს. გარდა ამისა, ანალიზის შედეგად მიღებული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს სტრატეგიული ჩარჩოს შექმნას და სამომავლოდ უფრო გენდერულად სენსიტიური და სოციალურად ინკლუზიური პოლიტიკისა და კანონმდებლობის ფორმირებას.

ამრიგად, ეს ანალიზი წვლილს შეიტანს ქვეყნის პოლიტიკისა და კანონმდებლობის გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის კუთხით შეფასებასა და საქართველოს მოსახლეობის ინკლუზიური მომავლის გაუმჯობესებაში.

1.2. გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროში არსებული პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტების მიმოხილვა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების პოლიტიკა მოიცავს დაგეგმვის დოკუმენტებსა და კანონმდებლობას, რომლებიც განსაზღვრავს ქვეყნის სტრატეგიულ მიმართულებებს ამ სფეროში. ეს დოკუმენტები ქმნიან სამართლებრივ და ინსტიტუციურ საფუძველს, რომელიც საჭიროა მდგრადი განვითარებისათვის, კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციისთვის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი მართვისთვის. ამასთან, საქართველოს პოლიტიკისა და კანონმდებლობის ეს ჩარჩო ასახავს ქვეყნის როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე აღებულ ვალდებულებებს.

საქართველოს გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილების სფეროს პოლიტიკის დოკუმენტები ითვალისწინებს ქვეყნის საჭიროებებსა და გამოწვევებს, აგრეთვე საერთაშორისო სტანდარტებსა და ვალდებულებებს, რომლებიც მდგრადი განვითარების მიზნებს უკავშირდება. აღნიშნული დოკუმენტები აღწერს სტრატეგიულ პრიორიტეტებს, რომლებიც ითვალისწინებს როგორც ეკოლოგიურ, ასევე სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებს მდგრადი განვითარების პირობების შექმნისთვის.

პოლიტიკის დოკუმენტები და კანონები მოიცავს ისეთ ძირითად მიმართულებებს, როგორებიცაა გარემოსდაცვითი მართვის პრინციპების განსაზღვრა, კლიმატის ცვლილების შერბილება და მასთან ადაპტაცია, ენერგიისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ტყეების დაცვა და მართვა, გარემოს დაბინძურების შემცირება, ეკოსისტემების დეგრადაციის თავიდან აცილება და ნარჩენების მართვა.

ანალიზისთვის შეირჩა ეროვნული დონის მნიშვნელოვანი სტრატეგიები და სხვა დაგეგმვის დოკუმენტები. მათ შორისაა:

- **საქართველოს გარემოს დაცვის მეოთხე ეროვნული პროგრამა (2022-2026 წლებისთვის),**
- **საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია,**
- **საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა,**
- **საქართველოს გრძელვადიანი დაბალემისიიანი განვითარების კონცეფცია,**
- **ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია,**
- **საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია.**

ეს დოკუმენტები განსაზღვრავს ქვეყნის გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვისა და კლიმატის ცვლილების სფეროს პოლიტიკის გრძელვადიან ხედვას, გამოყოფს ძირითად პრინციპებსა და პრიორიტეტებს, სტრატეგიულ მიმართულებებს, მიზნებს, ამოცანებსა და მათი მიღწევისთვის საჭირო ქმედებებს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პოლიტიკის დოკუმენტებისა, წინამდებარე ანალიზი მოიცავს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროს მომწესრიგებელ ძირითად კანონებსაც. მათ შორისაა საქართველოს კანონები ***გარემოს დაცვის შესახებ, ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ, ნარჩენების მართვის კოდექსი, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი და ტყის კოდექსი.*** ეს კანონები აგრეთვე წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს უფრო კონკრეტული ტექნიკური ხასიათის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისთვის, რომლებიც ერთობლიობლივად ქმნიან პოლიტიკის დოკუმენტებით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნების მიღწევის საკანონმდებლო ბაზას.

შერჩეული პოლიტიკის დოკუმენტებისა და კანონების ანალიზი საშუალებას იძლევა შეფასდეს, თუ როგორ არის ინტეგრირებული გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების საკითხების მართვის პროცესებში გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის საკითხები, რაც გრძელვადიანი პერსპექტივით, მთელი საზოგადოების კეთილდღეობას განსაზღვრავს.

1.3. კლიმატის ცვლილების, გარემოს დაცვის, გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის ურთიერთკავშირი

საქართველო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობითა და ისტორიული მემკვიდრეობით ერთ-ერთი უნიკალური ქვეყანაა, რომლის საზოგადოება მრავალფეროვანია და მასში მრავალი კულტურა თანაარსებობს. თუმცა, ამ მულტიკულტურული საზოგადოების ფარგლებში გენდერული თანასწორობა და სოციალური ჩართულობა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ქვეყნის განვითარებისა და სტაბილურობისთვის აუცილებელია, რომ ყველა მოქალაქე, განურჩევლად სქესისა და სოციალური მდგომარეობისა, თანაბრად ჩაერთოს ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.

გენდერული თანასწორობა და საქართველოში არსებული მდგომარეობა

საქართველოს მოსახლეობის 52%-ს[2] შეადგენენ ქალები, რაც აღინიშნება როგორც ქვეყნის სოციოდემოგრაფიული მახასიათებელი. მიუხედავად იმისა, რომ ქალები მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ, გენდერული უთანასწორობა კვლავ ფართოდ გავრცელებული პრობლემაა. ეს უთანასწორობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა შრომის ბაზარზე, სადაც ქალები მნიშვნელოვან დაბრკოლებებს აწყდებიან ეკონომიკურ აქტივობასა და კარიერული ზრდის დროს.

ქალთა ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში ხასიათდება მნიშვნელოვანი ეკონომიკური დისბალანსით. მაგალითად, ქალები ნაკლებად არიან ჩართული შრომის ბაზარში, აქვთ მნიშვნელოვნად დაბალი შემოსავალი მამაკაცებთან შედარებით[3] და ყოველთვიური სახელფასო სხვაობა წარმოადგენს 23%-ს. მიუხედავად იმისა, რომ განათლების სექტორსა და სოციალურ სერვისებში ქალები უფრო ხშირად მონაწილეობენ, მათი ხელმისაწვდომობა ეკონომიკურ რესურსებზე, ტრენინგებსა და კარიერული ზრდის შესაძლებლობებზე მაინც შეზღუდულია. ამ ყველაფრის შედეგად, ქალები ნაკლებად ერთვებიან ბიზნესში და უფრო მეტად არიან დამოკიდებული ოჯახის ფინანსურ მხარდაჭერაზე.

გენდერული უთანასწორობა ნათლად ჩანს პოლიტიკურ სფეროშიც. დაბალია ქალთა მონაწილეობა როგორც პოლიტიკაში, ასევე მცირეა მათი რაოდენობა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე. პოლიტიკური პარტიები და სახელმწიფო სტრუქტურები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ ქალთა პოლიტიკური საქმიანობის სათანადო მხარდაჭერას, რაც ხელს უშლის მათი აქტიური ჩართულობის ზრდას.

სოციალური ჩართულობა და მასთან დაკავშირებული გამოწვევები

საქართველოში სოციალურ ჩართულობის გამოწვევები ხშირად უკავშირდება კულტურულ, სოციალურ ნორმებსა და თემებში არსებულ სტერეოტიპებს, რომლებიც საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის როლებს განსაზღვრავს. ტრადიციული გენდერული როლები და სტერეოტიპები კვლავაც ხელს უშლის ქალების და ასევე სპეციფიკური საჭიროების მქონე ჯგუფების წარმომადგენელთა სრულ ჩართულობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში. ამის შედეგად, სოციალური ჩართულობის დონის გაუმჯობესება საქართველოში კვლავაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

2 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „საქართველოს რიცხვოვნობა 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით“. ნახვა შესაძლებელია: https://shorturl.at/aHanP

3 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გენდერული სახელფასო სხვაობა https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობს სოციალური ჩართულობის პოლიტიკის განხორციელებას, არსებული კანონმდებლობა ხშირად არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ქალთა უფლებებისა და სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების დაცვისა და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობისთვის საჭიროა უფრო აქტიური ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავს კანონმდებლობის გაუმჯობესებას, გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის პრინციპების დაცვას.

გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხები

გენდერული ნიშნით ძალადობა, მათ შორის ოჯახში ძალადობა, საქართველოში კვლავ მწვავე პრობლემად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა და მხარდაჭერის სერვისები განვითარებულია, ქალები კვლავ აწყდებიან სერიოზულ დაბრკოლებებს სამართლის აღსრულების დროს. სტიგმა, შურისძიების შიში და ნდობის ნაკლებობა ხელს უშლის ძალადობის შემთხვევების სათანადო აღრიცხვასა და რეაგირებას.

გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს არა მხოლოდ სამართალდამცავი სისტემის გაძლიერებას, არამედ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასაც. ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდა მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

კლიმატის ცვლილების, გარემოს დაცვისა, გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის უფთიერთკავშირი

კლიმატის ცვლილება, გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა გლობალური გამოწვევებია, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ყველა ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე. თუმცა, ამ გავლენის შედეგი არ არის თანაბრად გადანაწილებული მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს შორის. გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის საკითხების გათვალისწინება გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროს პოლიტიკის ფორმირებისას აუცილებელია იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს არა მხოლოდ ეკოლოგიური მდგრადობა, არამედ სოციალური სამართლიანობაც.

კლიმატის ცვლილება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გლობალური გამოწვევა, განსხვავებულ ზეგავლენას ახდენს ქალებსა და მამაკაცებზე და საფრთხეს წარმოადგენს. ქალები, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებნი, ხშირად უშუალოდ არიან დამოკიდებული ბუნებრივ რესურსებსა და გარემო პირობებზე, რაც მათ უფრო მგრძნობიარეს ხდის კლიმატის ცვლილების მიმართ. მაგალითად, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული წყლისა და საკვების რესურსების შემცირება, პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ქალების ყოველდღიურ საქმიანობასა და ოჯახის კეთილდღეობაზე.

ქალები ასევე ხშირად არიან საფრთხის დროს პირველადი რეაგირების ჯგუფებში, როდესაც საქმე ეხება კლიმატის ცვლილების შედეგებთან გამკლავებას, მათ შორის კატასტროფების მართვასა და ადაპტაციას. მიუხედავად ამისა, ქალების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში კლიმატის ცვლილების პოლიტიკის და პროგრამების დაგეგმვისას ხშირად შეზღუდულია, რაც ხელს უშლის მათი საჭიროებების და პრიორიტეტების გათვალისწინებას.

სოციალური ჩართულობა გარემოს დაცვის პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანია. სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფები, მათ შორის ბავშვები, შშმ პირები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები და სხვა სოციალურად დაუცველი ჯგუფები, განსაკუთრებით მძიმედ ზარალდებიან გარემოს დაცვის პრობლემებითა და კლიმატის ცვლილების შედეგებით.

ამ ჯგუფების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ხშირად ხელს უშლის მათ ჩართულობას გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების სფეროს პოლიტიკის ფორმირებაში, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მათ მოწყვლადობას[4]. **სოციალური ჩართულობის გაუმჯობესება აუცილებელია იმისათვის, რომ კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დაცვის სფეროს პოლიტიკა იყოს ინკლუზიური და ხელს უწყობდეს ყველა მოქალაქის ინტერესების გათვალისწინებას.**

კლიმატის ცვლილებასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პოლიტიკა უნდა იყოს გენდერულად სენსიტიური და უზრუნველყოს ყველა ჯგუფის, განსაკუთრებით ქალებისა და სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების ჩართულობა. ეს მოითხოვს კლიმატის ცვლილებისა და გარემოსდაცვითი პროგრამებისა და სტრატეგიების ფორმირების პროცესში გენდერული და სოციალური პერსპექტივის ინტეგრაციას, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული ზემოხსენებულ სფეროთა პოლიტიკის ეფექტიანად და სამართლიანად განხორციელებას.

4 **მოწყვლადობა** - ეკონომიკური და სოციალური სისტემის სენსიტიურობა, ზიანისადმი მიდრეკილება და ადაპტაციის უნარის ნაკლებობა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული საფრთხის დროს;

კლიმატის ცვლილების, გახემოს დაცვის, გენდეხული თანასწოხობისა და სოციალური ჩახთულობის ულთიეხთკავშიხი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, ხომ ეკოლოგიური პხობლემები ვეხ გადაიჭხება სოციალური სამახთლიანობის გახეშე. გენდეხული თანასწოხობისა და სოციალური ჩახთულობის პხინციპების ინტეგხაცია გახემოსდაცვით პოლიტიკაში საშუალებას მისცემს საქახთველოს უფხო ეფექტიანად და სამახთლიანად უპასუხოს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშიხებულ გამოწვევებს, ხელი შეუწყოს მდგხად და ინკლუზიულ განვითახებას, ხაც საზოგადოების ყველა წევხის კეთილდღეობას გულისხმობს.

გენდერული თანასწორობა და სოციალური ჩართულობა საქართველოში მნიშვნელოვანი გამოწვევებად რჩება, რაც კომპლექსურ და ერთიან მიდგომას საჭიროებს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა გენდერული თანასწორობის მიმართულებით, საჭიროა დამატებითი ღონისძიებების განხორციელება, რათა ყველა მოქალაქე თანაბრად ჩაერთოს ქვეყნის განვითარების პროცესში. ამისთვის აუცილებელია როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ისე სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობა და თანამშრომლობა.

2. მეთოდოლოგია

2. მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია წარმოადგენს კვლევის პროცესის მნიშვნელოვან საფუძველს, რომელიც განსაზღვრავს მის წარმატებას. მოცემულ თავში წარმოდგენილია იმ ინსტრუმენტებისა და მიდგომების აღწერა, რომლებიც გამოყენებულია გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის ანალიზისთვის საქართველოს გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროს პოლიტიკის თვალსაზრისით. მეთოდოლოგია ეფუძნება სამაგიდო კვლევას და გენდერული ანალიზის სპეციალური ინსტრუმენტების გამოყენებას, რომლებიც მიზნად ისახავს არსებული პოლიტიკის შეფასებასა და რეკომენდაციების შემუშავებას.

2.1. სამაგიდო კვლევა

სამაგიდო კვლევა წარმოადგენს მეთოდოლოგიის პირველ ეტაპს, რომელიც მოიცავს შერჩეული პოლიტიკის დოკუმენტებისა და კანონების ანალიზს. ამ პროცესის ფარგლებში შეგროვდა და გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის კუთხით გაანალიზდა ყველა ძირითადი დოკუმენტი, რომელიც ეხება საქართველოს გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროს პოლიტიკასა და კანონმდებლობას.

ასევე, დეტალურად იქნა შესწავლილი ის ანტიდისკრიმინაციული კანონები, რომლებიც ასახავს საქართველოს ვალდებულებებს გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის მიმართულებით. ამ დოკუმენტების ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს, დავადგინოთ, რამდენად არის ინტეგრირებული გენდერული და სოციალური ასპექტები საქართველოს გარემოსდაცვით და კლიმატის ცვლილების პოლიტიკაში.

სამაგიდო კვლევის ძირითადი მიზნები:

- ✓ ეროვნული პოლიტიკის შერჩეული დოკუმენტებისა და კანონმდებლობის ანალიზი გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის კუთხით;
- ✓ დოკუმენტების ანალიზი გენდერული ასპექტების ინტეგრაციის დონისა და ხარისხის შეფასების მიზნით;
- ✓ იმ ხარვეზების გამოვლენა, რომლებიც ხელს უშლის გენდერული და სოციალური ასპექტების სრულად ინტეგრაციას პოლიტიკასა და კანონმდებლობაში.

სამაგიდო კვლევის ფარგლებში, კრიტიკული მნიშვნელობა აქვს იმ დოკუმენტების იდენტიფიცირებასა და ანალიზს, რომლებიც განსაზღვრავს გენდერული და სოციალური ასპექტების ინტეგრაციას. ამ პროცესის შედეგები ქმნის საფუძველს იმის შესაფასებლად, თუ რამდენად სრულყოფილად ასახავს არსებული პოლიტიკა ქალებისა და სხვა ჯგუფების საჭიროებებსა და ინტერესებს.

2.2. ანალიტიკური ჩარჩო - გენდერული ანალიზის ინსტრუმენტები და მიდგომები

ანალიტიკური ჩარჩო წარმოადგენს მეთოდოლოგიის იმ ნაწილს, რომელიც უზრუნველყოფს კვლევის პროცესში გენდერული ანალიზის ინსტრუმენტებისა და მიდგომების გამოყენებას. ეს ჩარჩო საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ, თუ როგორ არის ინტეგრირებული გენდერული და სოციალური ასპექტები საქართველოს გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილების სფეროს პოლიტიკაში.

კვლევის პროცესში გამოყენებული გენდერული ანალიზის ძირითადი ინსტრუმენტები:

გენდერული ზეგავლენის შეფასება: ამ ინსტრუმენტის მეშვეობით ხორციელდება პოლიტიკების ზეგავლენის ანალიზი ქალებისა და მამაკაცების მდგომარეობაზე. ეს პროცესი მოიცავს იმ საკითხების შეფასებას, რომლებიც ეხება გენდერულ გავლენას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში;

სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი გენდერული ჭრილში: სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი საშუალებას იძლევა შეფასდეს, თუ როგორ აისახება არსებული პოლიტიკა და კანონმდებლობა ქალებისა და მამაკაცების სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ეს ანალიზი იძლევა შესაძლებლობას, გამოვლინდეს ის საკითხები, რომლებიც გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრასა და სოციალური ჩართულობის გაუმჯობესებას საჭიროებს;

გენდერული ბიუჯეტირება: გენდერული ბიუჯეტირება არის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს, თუ როგორ არის განაწილებული ფინანსური რესურსი გენდერულ ჭრილში. ეს პროცესი მოიცავს ბიუჯეტის გენდერული მახასიათებლების შეფასებას და რესურსების განაწილებას ქალებისა და მამაკაცების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებით.

კვლევის პროცესში გამოყენებული მიდგომები:

ინკლუზიურობა: კვლევის პროცესში განიხილება, თუ რამდენად არის პოლიტიკის დოკუმენტები და კანონები ინკლუზიური ყველა სოციალური ჯგუფისთვის. ეს გულისხმობს ყველა ჯგუფის საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებას, რაც მნიშვნელოვანია სოციალური ჩართულობისთვის;

გენდერული თანასწორობის ინტეგრაცია: მეთოდოლოგია მოიცავს იმ სტრატეგიებისა და მიდგომების შეფასებას, რომლებიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის ინტეგრაციას გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების პოლიტიკისა და კანონმდებლობის ფორმირების პროცესში;

სტრატეგიული მიდგომები: კვლევის პროცესში ისეთი სტრატეგიული მიდგომების გამოყენება, როგორიცაა გენდერული ანალიზი, უზრუნველყოფს, რომ გენდერული და სოციალური ასპექტები სრულად იყოს გათვალისწინებული გადაწყვეტილებათა მიღების ყველა ეტაპზე.

ანალიტიკური ჩარჩო საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ, თუ რამდენად ინტეგრირებულია გენდერული და სოციალური ასპექტები პოლიტიკის დოკუმენტებსა და კანონებში და როგორ შეიძლება მათი გაუმჯობესება.

empowered
(wo)men
empower
women.
Connecting women on the rise
THE FUTURE IS FEMALE
CONNECT
MEETUP
SERIES

3. ანალიზის შედეგები

3. ანალიზის შედეგები

გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის პრინციპების ინტეგრაცია ეროვნულ პოლიტიკურ დოკუმენტებში უაღრესად მნიშვნელოვანია მდგრადი და ინკლუზიური განვითარების უზრუნველყოფად. შერჩეული პოლიტიკის დოკუმენტებისა და კანონების ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

3.1. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (2022-2026)

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა[5] (NEAP 4) განსაზღვრავს საქართველოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებსა და მიზნებს 2022-2026 წლებისთვის და მოიცავს ისეთ სტრატეგიულ მიმართულებებს, როგორებიცაა: **გარემოსდაცვითი მმართველობა, წყლის რესურსების, შავი ზღვის, ატმოსფერული ჰაერისა და მიწის რესურსების დაცვა, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვა, ბიომრავალფეროვნება, დაცული ტერიტორიები, ტყის მართვა, კლიმატის ცვლილება, ბუნებრივი საფრთხეებისა და რისკების მართვა, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი განათლება.**

5 2022 – 2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5563250?publication=0

პროგრამა და მისი დანართები გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის მიმართულებით გარკვეულ გამოწვევებს აჩენს, რაც ანალიზსა და შეფასებას საჭიროებს.

გენდერული მახასიათებლების ნაკლებობა: გენდერული მახასიათებლები სრულად არ არის გათვალისწინებული. დოკუმენტში მხოლოდ ზოგადი ტერმინი „საზოგადოება“ გამოიყენება, რომელიც მოიცავს ყველა ჯგუფს - ქალებს, კაცებს, გოგონებს, ბიჭებს, სპეციფიკური საჭიროებების მქონე ადამიანებს და ა.შ. არცერთ შემთხვევაში არ არის ხაზგასმული ამ ჯგუფების საჭიროებები, ინტერესები და რისკები. ამ მიდგომის შედეგი ის არის, რომ გენდერული და სოციალური ჩართულობის საკითხები იკარგება საერთო კონტექსტში, რაც ხელს უშლის თანასწორი და ინკლუზიური გარემოსდაცვითი პოლიტიკის განვითარებას.

საზოგადოების ჩართულობის მექანიზმების გაუმჯობესება: პროგრამის ერთ-ერთი ამოცანაა საზოგადოების ჩართულობის მექანიზმების გაუმჯობესება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გაზრდა (ამოცანა 1.2.). რისკების შეფასებისას არ არის განსაზღვრული თუ როგორ აისახება სხვადასხვა ჯგუფის ჩართულობა გარემოსდაცვითი პოლიტიკის ეფექტიანობაზე. მაგალითად, რისკის შეფასებისას არ არის გათვალისწინებული, რომ სხვადასხვა ჯგუფისთვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და მათი ჩართულობა შესაძლოა განსხვავებული იყოს. ინფორმაციაზე შეზღუდულმა წვდომობამ და სხვადასხვა ჯგუფის სპეციფიკური საჭიროებების უგულვებელყოფამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს საზოგადოების ჩართულობის ხარისხი და, შესაბამისად, გარემოსდაცვითი ღონისძიებების ეფექტიანობა.

სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების უგულვებელყოფა: დოკუმენტში ხშირად გვხვდება ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „საზოგადოების ინფორმირება“ და „სამიზნე ჯგუფები“, თუმცა, არ არის განსაზღვრული, თუ რომელ ჯგუფებს მოიცავს ეს ტერმინები. მაგალითად, საზოგადოებისა და სამიზნე ჯგუფების ინფორმირებაზე საუბრისას არ არის მითითებული, თუ როგორ იქნება უზრუნველყოფილი სპეციფიკური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის ქალებისათვის, ბავშვებისათვის, შშპ პირებისათვის, ხანდაზმულებისათვის, ეთნიკური უმცირესობებისათვის და სხვა - ინფორმაციის მიწოდება და მათი ჩართულობა გარემოსდაცვით პროცესებში. ეს საკითხები განსა-

კუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ამ ჯგუფებს ხშირად აქვთ შეზღუდული წვდომა ინფორმაციაზე და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის ნაკლები შესაძლებლობა.

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა: ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც დოკუმენტში ნაკლებად არის გათვალისწინებული, არის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი ხაზს უსვამს საზოგადოების ინფორმირების მნიშვნელობას, არ არის დაკონკრეტებული, როგორ იქნება უზრუნველყოფილი ინფორმაციაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა სხვადასხვა სოციალური ჯგუფისთვის. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისა და ეთნიკური უმცირესობებისთვის, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ ენობრივი ბარიერი ან სხვა სახის შეზღუდვები ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით.

ბიუჯეტირების ინსტრუმენტი: დანართი 2 რომელიც წარმოადგენს ბიუჯეტირების ინსტრუმენტს, არ ითვალისწინებს გენდერულ და სოციალურ ასპექტებს. ბიუჯეს დაგეგმვის პროცესი არ ითვალისწინებს ქალების, მამაკაცების ან სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების განსხვავებულ საჭიროებებსა და პრიორიტეტებს, რაც ნიშნავს, რომ ფინანსური რესურსების განაწილება არ ითვალისწინებს გენდერულ თანასწორობას და სოციალურ ჩართულობას. შესაბამისად, ბიუჯეტი არ არის გენდერულად სენსიტიური სენსიტიური.

საჯარო კონსულტაციების ანგარიში: დანართი 3 წარმოადგენს საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელ ანგარიშს, რომლის თანახმად კონსულტაციების პროცესში არ არის განსაზღვრული ქალებისა და სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირების ჩართულობის როლი და მნიშვნელობა. ასევე, არ არის ნათლად განსაზღვრული, რამდენად დაცულია ინფორმაციის მიწოდების პროცესი ამ ჯგუფებისთვის. ეს მიუთითებს იმას, რომ კონსულტაციების პროცესში არ იყო სათანადოდ გათვალისწინებული გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის პრინციპები.

ეთნიკური უმცირესობების საკითხი: განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის საკითხს. თუმცა დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ გარემოსდაცვით ინფორმაციაზე წვდომა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით, არ არის

გათვალისწინებული, როგორ მიიღებენ ინფორმაციას ის პირები, რომელთაც არ აქვთ შესაბამისი ენობრივი უნარები. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობებისთვის, რომელთაც ენობრივი ბარიერის გამო შესაძლოა ვერ მიიღონ საჭირო ინფორმაცია.

ქალთა ჩართულობის მნიშვნელობა: დოკუმენტში ასევე ნაკლებად არის ხაზგასმული ქალთა ჩართულობის მნიშვნელობა გარემოსდაცვითი საკითხების სწავლების პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ სწავლების პროცესში გათვალისწინებული იყოს ინდივიდუალური მიდგომები, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა ჯგუფის, მათ შორის ქალების, აქტიურ ჩართულობას. ასევე, დოკუმენტში ნაკლებად არის გამოკვეთილი ქალების ხედვა და მათი მნიშვნელობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც დამატებით ყურადღებასა და ანალიზს საჭიროებს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დოკუმენტში არ არის სათანადოდ გამოყოფილი, არის ქალების ჩართულობა გარემოსდაცვითი პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის პროცესში. მაგალითად, როდესაც საუბარია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასა და მის ზემოქმედებაზე, დოკუმენტში მოწყვლად ჯგუფებად მოხსენიებულია მხოლოდ ბავშვები, ხანდაზმულები, და ქრონიკული დაავადებების მქონე პირები, ხოლო ქალები, როგორც მოწყვლადი ჯგუფი, არ არის განხილული.

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა და მასთან დაკავშირებული დანართები გენდერული და სოციალური ჩართულობის თვალსაზრისით გარკვეულ გამოწვევებს აჩენს. დოკუმენტში არ არის გათვალისწინებული გენდერული და სოციალური მახასიათებლები, რაც ნიშნავს, რომ მისი განხორციელება ვერ უზრუნველყოფს თანასწორ და ინკლუზიურ გარემოსდაცვით პოლიტიკას. დოკუმენტი არ ითვალისწინებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის სპეციფიკურ საჭიროებებს, ინტერესებსა და რისკებს. სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის საკითხების უგულებელყოფა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დოკუმენტის ეფექტიანობასა და საზოგადოების ყველა ჯგუფის თანასწორ ჩართულობაზე.

3.2. საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია

საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია[6] წარმოადგენს კლიმატის ცვლილების შერბილების მიმართულებით ეროვნულ დონეზე დასახული მიზნების მიღწევის მექანიზმს. ეს მიზნები განსაზღვრულია გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) პარიზის შეთანხმების მიერ და შედის „საქართველოს განახლებულ ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დოკუმენტში (NDC). სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს სათბურის აირების ემისიების შემცირების გრძელვადიან ხედვას 2030 წლისთვის და დაგეგმილ კონკრეტულ აქტივობებს.

კლიმატის ცვლილების ზეგავლენა მოწყვლად ჯგუფებზე: კლიმატის ცვლილება განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოების მოწყვლად ჯგუფებზე, რომლებიც მოიცავს ბავშვებს, ქალებს, ხანდაზმულებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ქრონიკული დაავადებების მქონე პირებს და ეკომიგრანტებს. სტრატეგიაში ხაზგასმულია, რომ ეს ჯგუფები საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას და ადაპტაციურ ღონისძიებებს, რათა მათზე ლიმატის ცვლილების ზეგავლენა შემცირდეს. სტრატეგიაში ხაზგასმულია, რომ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სტიქიური მოვლენების შედეგად ყველაზე მეტად ეს ჯგუფები ზარალდებიან, რაც საჭიროებს განსაკუთრებული ადაპტაციური ღონისძიებების გატარებას. მაგალითისთვის, ბავშვები და ქალები ხშირად უფრო მეტად განიცდიან რესურსების დეფიციტს და ეკომიგრაციის საფრთხეს, რაც იწვევს მათ დამატებით მოწყვლადობას.

გენდერული და სოციალური ასპექტების ინტეგრაცია სტრატეგიაში: სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ გენდერული და სოციალური ასპექტების ინტეგრაცია აუცილებელია კლიმატის ცვლილების მართვის პროცესში. მაგალითად, საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC) აღიარებს, რომ გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება აუცილებელია მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. ამ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ქალები და ბავშვები განსაკუთრებულ როლს ასრულე-

6 საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5147380?publication=1

ბენ კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის პროცესში, და, შესაბამისად, მათი უფლებების დაცვა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა აუცილებელია.

სტრატეგიაში ასევე აღნიშნულია, რომ ქალები, როგორც ცვლილების ელჩები, უნდა იყვნენ ჩართული კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ჯანდაცვის პრობლემების გადაჭრაში, ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესებასა და წყლის რესურსების გამოყენების ეფექტიანობის გაზრდაში. ამასთან, სტრატეგიაში წარმოდგენილია გეგმა, რომლის თანახმადაც უნდა შეგროვდეს სეგრეგირებული მონაცემები, რაც უზრუნველყოფს გენდერული თვალსაზრისით უფრო სრულყოფილ ანალიზსა და გადაწყვეტილებების მიღებას

განათლებისა და ცნობიერების ამაღლება: კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიაში ხაზგასმულია საზოგადოების, განსაკუთრებით ბავშვებისა და ახალგაზრდების, ცნობიერების ამაღლებისა და განათლების მნიშვნელობა კლიმატის ცვლილების საკითხებში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული განათლება და ტრენინგები უნდა იყოს ინტეგრირებული სასწავლო პროცესში როგორც სკოლებში, ისე უნივერსიტეტებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალგაზრდების როლს კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში. სტრატეგია მოუწოდებს დაინტერესებულ მხარეებსა და ადგილობრივ ორგანიზაციებს, შეიმუშაონ საგანმანათლებლო პროგრამები და ცნობიერების ამაღლების კამპანიები, რომლებიც დაეხმარება ახალგაზრდებს, მიიღონ ცოდნა და უნარები კლიმატის ცვლილებასთან გამკლავებისათვის.

გენდერული სენსიტიურობის გაზრდა: სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილი შეეხება გენდერული სენსიტიურობის ზრდას კლიმატის ცვლილების პოლიტიკასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ტყის მდგრადი მართვის გეგმებში ინტეგრირებული უნდა იყოს გენდერულად სენსიტიურისენსიტიური მიდგომები. მიზანია ის, რომ

2030 წლისთვის ტყის მდგრადი მართვის გეგმების 50%-ზე მეტი იყოს გენდერულად სენსიტიური.

სტრატეგია ასევე გულისხმობს, ქალებისჩართულობას ისეთი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც ეხება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებს, განსაკუთრებითისეთ სფეროებში, როგორებიცაა ენერგოეფექტიანობა და წყლის რესურსების გამოყენება. ეს უზრუნველყოფს, რომ ქალები, როგორც ცვლილების ელჩები, მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ კლიმატის ცვლილების მართვაში.

კლიმატის ცვლილების ადაპტაცია და გენდერული თანასწორობა: სტრატეგიაში ყურადღება ეთმობა გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრაციას კლიმატის ცვლილების ადაპტაციურ ღონისძიებებში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კლიმატის ცვლილების შედეგები განსხვავებულად აისახება სხვადასხვა გენდერულ და სოციალურ ჯგუფზე, და, შესაბამისად, ადაპტაციის ღონისძიებები ამ განსხვავებებს უნდა მოერგოს.

საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი აღიარებს, რომ ქალებისა და ბავშვების საჭიროებები უნდა იყოს პრიორიტეტული ადაპტაციის პროცესში. ეს გულისხმობს, რომ ადაპტაციის ღონისძიებები უნდა ემსახურებოდეს გენდერული უთანასწორობის შემცირებასა და ქალებისა და ბავშვების როლის გაძლიერებას.

მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაცია და მხარდაჭერა: სტრატეგიის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კლიმატის ცვლილების შედეგად მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციასა და მათ საჭიროებებზე მორგებული ღონისძიებების გატარებას. დოკუმენტი მოუწოდებს საერთაშორისო პარტნიორებსა და ადგილობრივ ორგანიზაციებს, შეიმუშაონ დაცვის პროგრამები იმ ჯგუფებისთვის, რომლებიც ყველაზე მეტად განიცდიან კლიმატის ცვლილების ზეგავლენას, მაგალითად, წყალდიდობებით გამორჩეული რეგიონების მაცხოვრებლები და ეკომიგრანტები.

საქართველოს ეროვნული დონეზე განსაზღვრული წვლილი ასევე ითვალისწინებს განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის სპეციალური პროგრამების შემუშავებას, რომლებიც უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით.

სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება და მართვა: სტრატეგიაში წარმოდგენილია გეგმა, რომელიც გულისხმობს გეგმავს სქესური ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებასა და მართვას კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ეროვნულ ანგარიშგებაში. ეს მონაცემები მნიშვნელოვანია გენდერული ანალიზის ჩასატარებლად და გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც უზრუნველყოფენ გე-

ნდერული თანასწორობის პრინციპების დაცვას. სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება და მართვა ასევე უზრუნველყოფს, კლიმატის ცვლილების მართვის პროცესში სხვადასხვა ჯგუფის სპეციფიკური საჭიროებებისა და გამოწვევების გათვალისწინებას. ეს მონაცემები აუცილებელია, რათა უფრო სრულყოფილად განისაზღვროს და შეფასდეს კლიმატის ცვლილების ზეგავლენა ქალებზე, კაცებზე, ბავშვებსა და სპეციფიკური საჭიროების მქონე ჯგუფებზე.

გენდერული თანასწორობის შესაბამისობა: სტრატეგია ითვალისწინებს, რომ საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლს თანასწორობის უფლების შესახებ და საქართველოს კანონს გენდერული თანასწორობის შესახებ. ეს უზრუნველყოფს, რომ კლიმატის ცვლილების მართვის პროცესი თანასწორად და სამართლიანად წარიმართოს და გათვალისწინებული იყოს ყველა სოციალური ჯგუფის საჭიროებები და პრიორიტეტები. ამასთან, სტრატეგია აღიარებს გენდერული თანასწორობის პრინციპების მნიშვნელობას კლიმატის ცვლილების ადაპტაციისა და შერბილების პროცესში და მოუწოდებს დაინტერესებულ მხარეებს, აქტიურად ჩაერთონ ამ პროცესებში.

3.3. საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა

საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა[7] (NECP) წარმოადგენს სტრატეგიულ დოკუმენტს, რომელიც შემუშავებულია არსებული ეროვნული სტრატეგიებისა და გეგმების საფუძველზე. მასში განხილულია ეროვნული მიზნები და ამოცანები ენერგეტიკული კავშირის ხუთი ძირითადი მიმართულების[8] მიხედვით და ის ზომები, რომლებიც აუცილებელია მათ მისაღწევად. გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა 2030 წლისთვის მისაღწევ მიზნებს, მათ შორის: სათბურის გაზების ემისიის შემცირებას, ენერგიის განახლებადი წყაროებიდან გენერაციის ზრდას, ენერგოეფექტიანობის წახალისებასა და ენერგეტიკული სისტემების ურთიერთდაკავშირების გაძლიერებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მეზობელ ქვეყნებთან. NECP-ის მიზანია, განსაზღვროს არსებული, დაგეგმილი და შესაძლო ინვესტიციები და პოლიტიკა, რომელიც უნდა განხორციელდეს უახლოესი წლების განმავლობაში.

ამ დოკუმენტის ანალიზი გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის კუთხით აჩვენებს, რომ სტრატეგიის განხორციელება მოითხოვს მეტი ყურადღების გამახვილებას მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერასა და გენდერული ასპექტების ინტეგრაციაზე.

ენერგეტიკული სიღარიბე და მოწყვლადი მომხმარებლები: ენერგეტიკული სიღარიბე საქართველოში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის, რომელთაც ენერგორესურსებზე ნაკლები წვდომა აქვთ. საქართველოს კანონმდებლობით, მოწყვლად მომხმარებლებად განისაზღვრა ის ოჯახები, რომელთაც შეღავათიანი პირობებით მიეწოდებათ ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი და წყალმომარაგება. ეს მომხმარებლები, ხშირ შემთხვევაში, ცხოვრობენ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ და მათთვის ენერგეტიკული ხარჯები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ცხოვრების ხარისხს.

გეგმაში აღწერილია, რომ საქართველოში არსებობს მექანიზმები მოწყვლადი მოქალაქეების დასაცავად ენერგიის მაღალი ფასებისგან, რაც დაკავშირებულია სიღარიბის ზღვარზე მყოფი ოჯახების დახმარების

7 საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა https://www.economy.ge/uploads/files/2017/energy/2024/sakartvelos_sakhelmcifos_energetikuli_politika_damtkicebuli_24/sakartvelos_energetikisa_da_klimatis_erovnuli_integrirebuli_gegma_damtkicebuli_.pdf

8 ევროკავშირისა და ენერგეტიკული გაერთიანების მიერ განსაზღვრული ხუთი ძირითადი მიმართულებაა: (1) დეკარბონიზაცია, (2) ენერგოეფექტიანობა, (3) ენერგეტიკული უსაფრთხოება, (4) შიდა ენერგობაზარი, (5) კვლევები, ინოვაციები და კონკურენტუნარიანობა

მექანიზმებთან. თუმცა, აუცილებელია, რომ ეს მექანიზმები უფრო მეტად იყოს ორიენტირებული გენდერულად სენსიტიურისენსიტიურ მიდგომებზე, რათა უზრუნველყოს ქალებისა და მამაკაცების თანაბარი წვდომა ენერგორესურსებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ადეკვატურად იყოს გათვალისწინებული ქალების, ბავშვების, ხანდაზმულებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ინტერესები, რამდენადაც ისინი ყველაზე მეტად განიცდიან ენერგეტიკული სიღარიბის შედეგებს.

ბუნებრივი გაზის სექტორი და სოციალური თანასწორობა: ბუნებრივი გაზის სექტორის განვითარებისას მნიშვნელოვანია, რომ მოწყვლადი მომხმარებლებისთვის შენარჩუნებული იყოს დაბალი ფასები. გეგმა განსაზღვრავს, რომ 2024 წლისთვის დაგეგმილია კონკურენტულ ბაზარზე ეტაპობრივი გადასვლა, თუმცა, ბუნებრივ გაზზე ხელმისაწვდომობა მოწყვლადი მომხმარებლებისთვის კვლავ პრიორიტეტად რჩება. ეს მნიშვნელოვანია სოციალური თანასწორობის უზრუნველსაყოფად, რადგან ენერგორესურსებზე ხელმისაწვდომობა პირდაპირ უკავშირდება მოსახლეობის ცხოვრების დონეს.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ბუნებრივი გაზის სექტორის განვითარებისას გათვალისწინებული იყოს გენდერული და სოციალური ასპექტები, რაც გულისხმობს, მოწყვლადი ჯგუფებისთვის, განსაკუთრებით, ქალებისა და ბავშვებისთვის, გაზის მიწოდების სერვისებზე ხელმისაწვდომობისა და უსაფრთხოების ადეკვატურ უზრუნველყოფას.

გენდერული თანასწორობა ენერგეტიკის სექტორში: საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა გენდერულ ასპექტებზე ნაკლებად აკეთებს აქცენტს, თუმცა, ეს საკითხი არის მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრაცია ენერგეტიკის სექტორში აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქალებისა და მამაკაცების თანაბარი მონაწილეობა და წვდომა ენერგეტიკულ რესურსებზე, განსაკუთრებით კი იმ სექტორებში, სადაც გადაწყვეტილებების მიღება და მართვა ხორციელდება.

მაგალითად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული ურბანული ტრანსპორტის მდგრადი სტრატეგია მოიცავს სოციალური და გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებას, რაც მნიშვნელოვანია ინკლუზიური და სამართლიანი ენერგეტიკული პოლიტიკისთვის. ამ მიდგომის გავრცელება სხვა ენერგეტიკულ სექტორებშიც აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილი იყოს გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვა და ქალების უფრო აქტიური მონაწილეობა ენერგეტიკის სფეროში.



ენერგეტიკული სიღარიბის გავლენა ქალებსა და ბავშვებზე: ენერგეტიკული სიღარიბე განსაკუთრებით მძიმედ აისახება ქალებსა და ბავშვებზე, რომლებიც ხშირად წარმოადგენენ ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს. ისინი უფრო მეტად არიან დამოკიდებული ენერგორესურსებზე, განსაკუთრებით კი გათბობის, განათების და საკვების მომზადების თვალსაზრისით. ამიტომ, საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ ინტეგრირებულ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს მათი სპეციფიკური საჭიროებები და ადეკვატური მხარდაჭერა.

გარდა ამისა, UNICEF-ის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის[9] მიხედვით, რომელიც 2009-2017 წლებში საქართველოს ოჯახების სიღარიბის დინამიკას აანალიზებდა, გამოვლინდა, რომ ენერგეტიკული სიღარიბე ქვეყანაში საკმაოდ გავრცელებულია. ამავე კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს ოჯახების 70% ერთხელ მაინც იმყოფებოდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ენერგეტიკული სიღარიბის საკითხს და საჭიროებს დამატებით ყურადღებას ქალებისა და ბავშვების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ენერგოეფექტურობის მნიშვნელობა: ენერგოეფექტიანობის წამახალისებელი ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია გეგმაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენერგეტიკული სიღარიბის შემცირებასა და მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობის გაუმჯობესებაში. მაღალი ეფექტიანობის ნათურების მონტაჟი, ენერგოეფექტიანი პროდუქტების გამოყენება და მსგავსი ღონისძიებები ეხმარება მოსახლეობას შეამციროს ენერგომოხმარება და ამცირებს ენერგიის ხარჯებს.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოწყვლადი ჯგუფებისთვის, რომლებსაც ნაკლებად შეუძლიათ მაღალი ენერგორესურსების ხარჯების გაღება. ამასთან, აუცილებელია, რომ ეს ღონისძიებები იყოს გენდერულად სენსიტიურისენსიტიური, რაც უზრუნველყოფს ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარ ხელმისაწვდომობას ენერგოეფექტიანობის პროგრამებზე და მათ მხარდაჭერას ენერგომოხმარების შემცირებაში.

სოციალური ჩართულობის მნიშვნელობა: საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა ასევე ხაზს უსვამს სოციალური ჩართულობის მნიშვნელობას ენერგეტიკული პოლიტიკისა და კლიმატის ცვლილების სტრატეგიების განვითარებაში. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და განათლება ენერგოეფექტიანობის, განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებისა და კლიმატის ცვლილების საკითხებზე კრიტიკულად მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

მაგალითად, გეგმაში გათვალისწინებულია ენერგოეფექტიანობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამების განხორციელება, რაც მოიცავს საინფორმაციო მასალების შემუშავებას და მუშაობას ფართო საზოგადოებასთან, მათ შორის სტუდენტებთან, ბავშვებთან, საჯარო მოხელეებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ეს ღონისძიებები ხელს უწყობს მოსახლეობის ცოდნის ამაღლებას და უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც მნიშვნელოვანია ენერგოეფექტიანობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

9 UNICEF-ის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა https://shorturl.at/Yv6J4

გენდერული სენსიტიურობის ამაღლება: გეგმაში გათვალისწინებულია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ენერგოეფექტიანობისა და კლიმატის ცვლილების საკითხებზე, თუმცა, აუცილებელია, რომ ეს პროცესი იყოს გენდერულად სენსიტიური. ქალები და მამამამაკაცები განსხვავებულად იღებენ და იყენებენ ინფორმაციას ენერგოეფექტიანობისა და კლიმატის ცვლილების საკითხებზე, ამიტომ საჭიროა, რომ განათლების და ცნობიერების ამაღლების პროგრამები ამ განსხვავებულ საჭიროებებს მოერგოს.

გარდა ამისა, გენდერული სენსიტიურობის ამაღლება მნიშვნელოვანია ენერგეტიკის სექტორში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ქალების და მამაკაცების ჩართულობა ენერგეტიკის სფეროში უნდა იყოს თანაბარი, რათა გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღება ენერგორესურსების მართვისა და განაწილების შესახებ, ითვალისწინებდეს ორივე სქესის ინტერესებსა და საჭიროებებს.

ენერგეტიკული სიღარიბე განსაკუთრებით მძიმე ზემოქმედებას ახდენს ქალებსა და ბავშვებზე, რომლებიც წარმოადგენენ ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს. ამ ჯგუფების მხარდაჭერა და მათი სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინება აუცილებელია, რათა ენერგეტიკისა და კლიმატის სტრატეგიებმა მოიტანოს რეალური შედეგები მდგრადი განვითარების თვალსაზრისით.

3.4. საქართველოს გრძელვადიანი დაბალემისიიანი განვითარების კონცეფცია

საქართველოს გრძელვადიანი დაბალემისიიანი განვითარების კონცეფ-ცია[10] (LT LEDS) ***წარმოადგენს ქვეყნის*** დაბალემისიიანი განვითარების გრძელვადიანი ხედვის ჩარჩო დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს ეროვნულ დონეზე სათბურის აირების ემისიისა და შთანთქმის სავარაუ-დო მაჩვენებლების დიაპაზონს და აყალიბებს ხედვას 2050 წლისთვის. კონცეფციის მიხედვით, საქართველოს მიზანია 2050 წლისთვის მიაღ-წიოს კლიმატ-ნეიტრალურობას სწრაფი და ძირეული ტექნოლოგიური გადაიარაღების გზით. საქართველო გეგმავს ერთმანეთს შეუთავსოს დაბალემისიიანი განვითარება და ეკონომიკური ზრდა ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით, რაც ამავდროულად შეამცირებს ემისიას. კონცეფციაში დანართის სახით მოცემულია გრძელვადიანი დაბალემი-სიიანი განვითარების პოტენციური ღონისძიებები დაგეგმილი და დამა-ტებითი ქმედებებით.

ამ დოკუმენტში დიდი ყურადღებას ეთმობა გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის პრინციპების ინტეგრაციას, რაც კრიტიკუ-ლად მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად და კლიმატის ცვლილების გამოწვევების გასამკლავებლად.

გენდერული პერსპექტივის მნიშვნელობა დაბალემისიიანი განვითარების კო-ნტექსტში: დაბალემისიიანი განვითარების კონცეფცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გენდერულ პერსპექტივას. კლიმატის ცვლილების ზეგავლენა განსხვავებულად აისახება ქალებსა და კაცებზე, რაც განპი-რობებულია გენდერული უთანასწორობით, განსხვავებული როლითა და პასუხისმგებლობით. ქალები ხშირად წარმოადგენენ იმ ჯგუფს, რომელიც განსაკუთრებით მძიმედ განიცდის კლიმატის ცვლილების შედეგებს, მათ შორის, ბუნებრივი რესურსების დეფიციტს, სიღარიბესა და ჯანმრთელო-ბის პრობლემებს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად. ეს ნიშნავს, რომ კლიმატის ცვლილე-ბის შერბილებისა და ადაპტაციის პროცესებში ქალებისა და მამაკაცების თანაბარი ჩართულობა და წვდომა უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ქალე-ბის, როგორც გადაწყვეტილების მიმღებთა ჩართულობა აუცილებელია,

10 **საქართველოს გრძელვადიანი დაბალემისიიანი განვითარების კონცეფცია** https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5788653?publication=0

რათა კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ინკლუზიური და სამართლიანი იყოს.

ქალების ჩახთულობის გამოწვევები დაბალემისიიან განვითარებაში: მსოფლიო ბანკის კვლევამ[11] აჩვენა, რომ საქართველოში ქალების წარმომადგენლობა საქმიანობისა და პროფესიების კუთხით ძირითადად მოიცავს ჰუმანიტარულ, განათლებისა და ჯანდაცვის სექტორებს, რაც ზღუდავს მათ ეკონომიკურ აქტივობას მაღალშემოსავლიან სფეროებში. ეს რეალობა აისახება ქალებისა და მამაკაცების წარმომადგენლობაზე ისეთ დარგებში, როგორიცაა ენერგეტიკა, ინდუსტრია და ტრანსპორტი, სადაც, ამავდროულად, ყველაზე მეტია სათბურის გაზების ემისია. ქალების დაბალი წარმომადგენლობა ამ სექტორებში მიუთითებს, რომ ისინი ნაკლებად მონაწილეობენ იმ პროცესებში, რომლებიც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს კლიმატის ცვლილების შერბილებაზე.

მაგალითად, 2018 წელს მომუშავე ქალების მხოლოდ 6%, ხოლო მამაკაცების 14% იყო დასაქმებული სამრეწველო სფეროში.

ტრანსპორტის სექტორში დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი მხოლოდ 1%-ს შეადგენს,

რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს ქალების შეზღუდულ მონაწილეობას ამ სფეროში[12]. ეს უთანასწორობა საყურადღებოა, რადგანაც სწორედ ამ სექტორებში ხდება იმ ძირითადი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც გავლენას ახდენენ კლიმატის ცვლილების შერბილებაზე.

გენდერული პერსპექტივის ინტეგრაცია დაბალემისიიანი განვითარების კონცეფციაში: კონცეფციაში აღნიშნულია, რომ ქალებისა და მამაკაცების განსხვავებული გამოცდილება და ცოდნა აუცილებელია ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. ამიტომ, კონცეფციაში გათვალისწინებულია ქალების თანაბარი წვდომა დაბალემისიიანი განვითარების ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებში. ეს გულისხმობს,

11 მსოფლიო ბანკი, ქვეყნის გენდერული პროფილის შეფასება - საქართველო 2021, https://shorturl.at/YCh2m

12 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გენდერული თანასწორობის პროფილი - საქართველო 2023 https://shorturl.at/Vu89d

რომ ქალები უნდა ჩაერთონ ყველა იმ პროცესში, რომელიც ეხება ტექნოლოგიურ განვითარებას, რესურსების განაწილებასა და გადაწყვეტილებათა მიღებას.

გარდა ამისა, ქალების მნიშვნელოვანი ჩართულობა და მონაწილეობა აუცილებელია დაბალემისიიანი განვითარების დაგეგმვის, მონიტორინგისა და განახლების პროცესებში. ეს უზრუნველყოფს, რომ პოლიტიკის დოკუმენტები და სტრატეგიები იყოს უფრო ინკლუზიური და გენდერულად სენსიტიური, რაც მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის.

ტექნოლოგიური საჭიროებების შეფასება და ქალების როლი: ტექნოლოგიური საჭიროებების შეფასებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების შემოტანის პროცესებში ქალების ჩართულობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ტექნოლოგიური განვითარება და ინოვაციები არის ის ძირითადი ელემენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ დაბალემისიიანი განვითარების მიღწევას. ამიტომ, აუცილებელია, რომ ქალები, როგორც ცვლილების ელჩები, ჩაერთონ ამ პროცესებში და მათი გამოცდილება და ცოდნა სრულად გამოყენებული იყოს.

ქალების ჩართულობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ასევე ხელშემწყობი გარემოს შექმნის, შესაძლებლობათა გაძლიერების და მომსახურების მიწოდების პროცესებში. ეს გულისხმობს, რომ ქალები უნდა იყვნენ ჩართულნი როგორც ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მიღებაში, ასევე მათი გამოყენების პროცესში.

საკონსულტაციო მომსახურება და ქალების გამოცდილების გამოყენება: დაბალემისიიანი განვითარების კონცეფცია ხაზს უსვამს ქალების გამოცდილების, ცოდნისა და შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენებას საკონსულტაციო მომსახურების პროცესში. ქალები უნდა იყვნენ ჩართული ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების ყველა სექტორში, როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ დონეზე. ეს უზრუნველყოფს, რომ პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება იყოს ინკლუზიური და გენდერულად სენსიტიური.

კონცეფციაში გათვალისწინებულია ქალების თანაბარი და ეფექტიანი ჩართულობა შერბილების სექტორულ ღონისძიებებში. ეს გულისხმობს, რომ ქალები უნდა ჩაერთონ ყველა იმ ღონისძიებაში, რომელიც ეხება კლიმატის ცვლილების შერბილებას, მათ შორის ენერგეტიკის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობისა და სხვა სექტორებში.

ქალების პროფესიული განვითარება და ტექნიკური ცოდნა: ქალების პროფესიული განვითარება და ტექნიკური ცოდნა არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. საქართველოში მცხოვრები ქალები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებისა და სხვა რელევანტურ სფეროებში, უნდა გრძნობდნენ სათანადო მხარდაჭერას და იღებდნენ პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს. ეს მნიშვნელოვანია, რათა ქალებმა შეძლონ დაბალემისიიანი განვითარების კონცეფციისა და სტრატეგიების განხორციელების პროცესში თავიანთი უნარებსა და ცოდნის სრულად გამოყენება.

სოციალური ჩართულობის ნაკლებობა კონცეფციაში: მიუხედავად იმისა, რომ კონცეფციში დიდი ყურადღება ეთმობა გენდერული თანასწორობის საკითხებს, დოკუმენტში ნაკლებად არის განხილული სოციალური ჩართულობის სხვა ასპექტები. სოციალური ჩართულობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს მდგრადი და დაბალემისიიანი განვითარების უზრუნველსაყოფად, რადგან ის გულისხმობს ყველა სოციალური ჯგუფის მონაწილეობასა და ჩართულობას განვითარების პროცესებში.

კონცეფციაში დეტალურად არ არის განხილული საკითხი სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან მიმართებით, მაგალითად, ეთნიკური უმცირესობები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ხანდაზმულები და სხვა სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფები. ეს არის მნიშვნელოვანი საკითხი, რადგანაც კლიმატის ცვლილების შედეგები განსაკუთრებით მძიმედ აისახება ამ ჯგუფებზე, შესაბამისად, მათი ჩართულობა და მხარდაჭერა აუცილებელია მდგრადი განვითარების მისაღწევად.

გენდერული პერსპექტივისა და სოციალური ჩართულობის ინტეგრაცია სტრატეგიულ დოკუმენტებში: დაბალემისიიანი განვითარების კონცეფცია ხაზს უსვამს გენდერული პერსპექტივის ინტეგრაციის აუცილებლობას სტრატეგიულ დოკუმენტებსა და სამოქმედო გეგმების განხორციელებაში. გენდერული პერსპექტივა, ასევე სოციალური ჩართულობა უნდა იყოს გათვალისწინებული როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი დაგეგმვის პროცესში, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქალების, მამაკაცებისა და სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების თანაბარი მონაწილეობა და წვდომა განვითარების ყველა სფეროში.

3.5. ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია

ნარჩენების მართვის 2016-2030 *წლების ეროვნული სტრატეგია*[13] შემუშავებულია ნარჩენების მართვის კოდექსის საფუძველზე, ამავე კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მისი მიზანია ეროვნულ დონეზე ნარჩენების მართვის პოლიტიკისა და მიზნების 15-წლიანი პერიოდისთვის განსაზღვრა, საქართველოში ნარჩენების მართვის პროცესში საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება ევროკავშირის ნარჩენების მართვის პოლიტიკის მიზნებსა და ამოცანებთან ეტაპობრივი დაახლოების გზით. თითოეული სტრატეგიული მიზნისათვის[14] გაწერილია ამოცანები და შესაბამისი ღონისძიებები, რომლებიც შეადგენენ სტრატეგიის განხორციელების მიზნით მიღებული სამოქმედო გეგმის ძირითად ნაწილს.

13 ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია
https://matsne.gov.ge/ka/document/view/3242506?publication=1

14 სტრატეგიული მიზნები დაჯგუფებულია შემდეგ მიმართულებებად: (1) კანონმდებლობა, (2) ნარჩენების მართვის დაგეგმვა, (3) ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება, (4) ნაგავსაყრელები, (5) პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება და აღდგენა, (6) ხარჯების ამოღება, (7) მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება, (8) მონაცემები ნარჩენების შესახებ, (9) მართვის შესაძლებლობები, (10) სახიფათო ნარჩენების მართვა, (11) პლასტიკის ნარჩენების მართვა, (12) ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვა, (13) ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების მართვა;

გენდერული და სოციალური ასპექტების უგულებელყოფა: სტრატეგია, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ მოიცავს გენდერულ და სოციალურ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ნარჩენების მართვის პროცესთან. დოკუმენტი ძირითადად ფოკუსირებულია ტექნიკურ და ინფრასტრუქტურულ საკითხებზე, რაც თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ მის განსახორციელებლად აუცილებელია გენდერული და სოციალური განზომილების გათვალისწინებაც. მაგალითად, ნარჩენების მართვა პირდაპირ ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ცხოვრებაზე, როგორებიცაა ქალები, ბავშვები, შშმ პირები, ეთნიკური უმცირესობები და სხვა სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფები.

ნარჩენების მართვის საკითხებში ქალების ჩართულობა და მათი გამოცდილების გათვალისწინება აუცილებელია, რადგან უმეტეს შემთხვევებში სწორედ ისინი მართავენ ოჯახში ნარჩენების საკითხებს. მიუხედავად ამისა, დოკუმენტი არ აღიარებს ქალების როლს და საჭიროებებს ამ პროცესში. ამასთან, სტრატეგია არ განიხილავს იმ სოციალურ საკითხებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ნარჩენების მართვის პროცესზე, - ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და საზოგადოების ჩართულობა.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება: სტრატეგიის ერთ-ერთი მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებზე (ამოცანა 9.4.). თუმცა, ეს საკითხი განიხილება მხოლოდ ზოგად კონტექსტში, სოციალური ჯგუფების სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინების გარეშე. მაგალითად, ბავშვების, შშმ პირების და ეთნიკური უმცირესობების მიმართ აუცილებელია განსხვავებული მიდგომების გამოყენება, რადგან ამ ჯგუფების ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ხშირად შეზღუდულია. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროცესში საჭიროა გენდერული პერსპექტივის გათვალისწინება. მნიშვნელოვანია, რომ გენდერული თანასწორობის პრინციპები იყოს ინტეგრირებული ნარჩენების მართვის პოლიტიკაში და მასში გათვალისწინებული იყოს ყველა სოციალური ჯგუფის საჭიროებები.

ნარჩენების მართვის სტრატეგიის ტექნიკური ხასიათი**:** როგორც აღინიშნა, დოკუმენტი ძირითადად ტექნიკური ხასიათისაა, რაც თავისთავად არ არის პრობლემა, თუ ეს ტექნიკური მიდგომები გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის პრინციპებს შეესაბამება. სტრატეგიის ტექნიკური ხასიათი მოითხოვს, რომ თითოეული ინფრასტრუქტურული და ტექნოლოგიური გადაწყვეტილება იყოს გენდერული და სოციალური ასპექტების გათვალისწინებით მიღებული.

მაგალითად, ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარება და ტექნოლოგიების დანერგვა უნდა ითვალისწინებდეს შშმ პირების საჭიროებებს, რათა უზრუნველყოს მათი თანაბარი წვდომა ნარჩენების მართვის სისტემაზე. ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს ეთნიკური უმცირესობების ენობრივი ბარიერები და კულტურული თავისებურებები, რაც მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიწოდებისა და ჩართულობის პროცესში.

გენდერული და სოციალური ჩართულობის ინტეგრაციის საჭიროება: ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც უნდა მოიცავდეს გენდერული და სოციალური ჩართულობის პრინციპებს, რათა ის წარმატებით განხორციელდეს დოკუმენტში გენდერული და სოციალური ასპექტების უგულებელყოფა ნიშნავს, რომ სტრატეგიის შედეგები ვერ იქნება თანასწორი და სამართლიანი ყველა სოციალური ჯგუფისთვის.

3.6. საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია

საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია[15] მიზნად ისახავს ქვეყანაში ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, ტყეების ეკოლოგიური ფასეულობების გათვალისწინებით მათიეკონომიკური პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას, ტყის რესურსების მართვაში საზოგადოების მონაწილეობასა და მიღებული სარგებლის სამართლიან გადანაწილებას. კონცეფცია მოიცავს ძირითად პრინციპებსა და განსახორციელებელ ქმედებებს, რომლებიც ტყეების შენარჩუნებასა და მართვის გაუმჯობესებას უკავშირდება. **კონცეფცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის ქალების, როლს და პასუხისმგებლობას ტყის რესურსების მართვაში, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია მდგრადი და ინკლუზიური განვითარების უზრუნველსაყოფად.**

15 საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2157869?publication=0

ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებები და ჩართულობა: კონცეფციაში ხაზგასმულია, რომ პრიორიტეტი ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ეს მიდგომა გულისხმობს, რომ ტყის მართვის პროცესში ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის არაადგილობრივ მოსახლეობასაც, უნდა ჰქონდეს მონაწილეობის შესაძლებლობა. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭება ადგილობრივ მცხოვრებთა, კერძოდ ქალების, ჩართულობას. ქალების, როგორც ცალკე დაინტერესებული მხარის, განხილვა მიუთითებს იმაზე, რომ მათი როლი მეტად უნდა იყოს აღიარებული ტყის მართვის პროცესში.

ქალების ჩართულობა ტყის რესურსების მართვაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგანაც ისინი ხშირად ასრულებენ წამყვან როლს ოჯახებსა და სოფლის თემებში რესურსების გამოყენების თვალსაზისით. კონცეფციის მიხედვით, აუცილებელია, რომ ქალებმა მიიღონ სათანადო უფლებამოსილებები და საშუალებები, რათა მათ ეფექტიანად შეძლონ მონაწილეობა ტყის რესურსების მართვაში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის მიღწევას და მდგრადი განვითარების მიზნების უზრუნველყოფას.

გენდერული თანასწორობა და სოციალური ჩართულობა: კონცეფცია გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის პრინციპებს უკავშირებს ტყის რესურსების მართვის პროცესს. ***დოკუმენტში აღიარებულია, რომ ადგილობრივი თემების, განსაკუთრებით თემის წევრი ქალების, იდენტობა და კულტურა უნდა იყოს დაცული და წახალისებული.*** ეს უკავშირდება ტყიან ტერიტორიებზე მოსახლე თემების ტრადიციული ცოდნისა და პრაქტიკის შენარჩუნებას, რაც მნიშვნელოვანია ტყის მდგრადი მართვისთვის.

კონცეფცია ხაზს უსვამს იმის საჭიროებას, რომ ტყის რესურსებით მიღებული სარგებელი სამართლიანად იყოს განაწილებული ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ მომხმარებლებს შორის. ეს უზრუნველყოფს, რომ ყველა სოციალური ჯგუფი, მათ შორის ქალები და ახალგაზრდები, თანაბრად სარგებლობდეს ტყის რესურსებით.

განათლება და ცნობიერების ამაღლება: კონცეფციაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა განათლების მიღებისა და ცნობიერების ამაღლების პროცესებს, რომლებიც მიზნად ისახავს ტყის მდგრადი მართვის პრინციპების შესახებ მოსახლეობისა და გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა ცოდნის გაღრმავებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალგაზრდების განათლებას და მათ ჩართულობას სატყეო სექტორში. კონცეფცია გულისხმობს, რომ სკოლებსა და საუნივერსიტეტო პროგრამებში მეტი

დრო და რესურსი უნდა დაეთმოს ტყის რესურსების შესახებ განათლებას, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების და განსაკუთრებით ქალების ჩართულობას სატყეო სექტორში.

ალტერნატიული შემოსავლის წყაროები და გენდერული პერსპექტივა: კონცეფცია ასევე მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობისთვის ალტერნატიული შემოსავლის წყაროების უზრუნველყოფას. ეს არის მნიშვნელოვანი ასპექტი, რადგანაც სოფლის მოსახლეობა ხშირად დამოკიდებულია ტყის რესურსებზე საარსებო საშუალებების მისაღებად. კონცეფციის თანახმად, სოფლად სიღარიბის დონის შემცირება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა უნდა იყოს გენდერულად სენსიტიური, რაც გულისხმობს ამ პროცესში ქალებისა და ახალგაზრდების ინტერესების დაცვასა და გათვალისწინებას ამ პროცესში.

ქალების ჩართულობა ახალი შემოსავლის წყაროების შექმნის პროცესში მნიშვნელოვანია, რადგანაც ეს უზრუნველყოფს მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაზრდას და სოფლად ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. კონცეფციაში აღნიშნულია,, რომ უნდა უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს საპილოტე პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალებისა და ადგილობრივი თემების მიერ ტყის რესურსების კომერციულ გამოყენებას.

ენერგიაზე ხელმისაწვდომობა და სოციალური თანასწორობა: კონცეფცია ასევე ეხება ენერგიაზე ხელმისაწვდომობის საკითხს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის. დოკუმენტი განიხილავს სხვადასხვა შესაძლებლობას, როგორიცაა ენერგოეფექტიანი ღუმლების დანერგვა, სახლების თბოიზოლაცია და ბუნებრივი აირის ქსელის გაფართოება, რათა შემცირდეს სოფლის მოსახლეობის დამოკიდებულება გასათბობად გამოსაყენებელ შეშაზე და შესაძლებელი გახდეს ენერგიის ეფექტიანი გამოყენება.

სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა ამ პროცესში ნიშნავს, რომ ენერგიაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება უნდა იყოს მიმართული ყველა სოციალური ჯგუფის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, განსაკუთრებით კი ქალებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ. კონცეფცია ითვალისწინებს, რომ ენერგიის წყაროების ეფექტიანი გამოყენება და მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა უნდა იყოს გენდერულად სენსიტიური და ინკლუზიური, რაც უზრუნველყოფს სოფლად მცხოვრები თემების სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობას.

3.7. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ

საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ[16] წარმოადგენს ქვეყნის გარემოსდაცვითი საკანონმდებლო ბაზის საკვანძო კანონს, რომელიც მიზნად ისახავს განსაზღვროს გარემოს დაცვის სფეროში სამართლებრივ ურთიერთობათა პრინციპები და ნორმები, აგრეთვე დაიცვას გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის ძირითადი უფლებები - ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში და სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი.

კანონი განსაზღვრავს გარემოს დაცვის ძირითად პრინციპებს და ვალდებულებებს, რომლებიც ეკისრებათ როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო სექტორსა და მოქალაქეებს. კანონი ითვალისწინებს გარემოსდაცვითი მონიტორინგის, შეფასებისა და მართვის პროცედურებს, რომლებიც ხელს უწყობს გარემოს მდგომარეობის მუდმივ კონტროლს და მის გაუმჯობესებას. კანონის მიზანია, უზრუნველყოს გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად და ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით. უზრუნველყოს საზოგადოების ყველა სეგმენტის ჩართულობა გარემოს დაცვის პროცესებში და ხელი შეუწყოს მათ ცნობიერების ამაღლებას ეკოლოგიური პრობლემების მიმართ.

მოქალაქეთა უფლებები გარემოს დაცვის სფეროში: კანონის მე-6 მუხლი განიხილავს მოქალაქეთა ძირითად უფლებებს გარემოს დაცვის სფეროში. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი უფლებაა ცხოვრება ჯანმრთელობისთვის უვნებელ და ჯანსაღ გარემოში. ეს უფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სოციალური და გენდერული თვალსაზრისით, რადგან ქალები, ბავშვები, ხანდაზმულები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სხვადასხვა სპეციფიკური საჭიროების მქონე ჯგუფები ხშირად არიან ყველაზე მოწყვლადები გარემოსდაცვითი რისკების მიმართ. ჯანსაღი გარემოს არსებობა აუცილებელია მათი ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

მოქალაქეთა უფლება - სარგებლობდნენ ბუნებრივი გარემოთი და მიიღონ სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მათი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ, ასევე უკავშირდება გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას და მათი აქტიური ჩართულო-

16 საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ
https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=33

ბის უზრუნველყოფას გარემოს დაცვის საკითხებში. ეს უფლებები კრიტიკულად მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობისთვის, რადგანაც ისინი აძლევენ ქალებს და სხვა მოწყვლად ჯგუფებს საშუალებას, აქტიურად ჩაერთონ გარემოსდაცვით პროცესებში და მიიღონ გადაწყვეტილებები ობიექტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

მოქალაქეთა ვალდებულებები გარემოს დაცვის სფეროში: კანონის მე-7 მუხლი განსაზღვრავს მოქალაქეთა ვალდებულებებს გარემოს დაცვის სფეროში. მოქალაქეები ვალდებულნი არიან დაიცვან გარემოს დაცვის კანონმდებლობა, გაუფრთხილდნენ ბუნებრივ და კულტურულ გარემოს და იზრუნონ გარემოს დაცვაზე. ამ ვალდებულებების შესრულება მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობისთვის, რადგან ყველა მოქალაქე, განურჩევლად სქესისა, ასაკისა ან სოციალური სტატუსისა, უნდა იღებდეს თანაბარ პასუხისმგებლობას ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

კანონი ასევე ითვალისწინებს ვალდებულებას, რომ მოქალაქეებმა დროულად აცნობონ სათანადო სახელმწიფო ორგანოებს მოსალოდნელი ან მომხდარი ბუნებრივი, ტექნოგენური და სხვა ეკოლოგიური კატასტროფების შესახებ. ეს ვალდებულება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საზოგადოებრივ ჩართულობასა და პასუხისმგებლობას, რაც უნდა იყოს თანაბრად განაწილებული გენდერულად და სოციალურ ჯგუფებს შორის, რათა ყველა მოქალაქემ შეძლოს ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა.

გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვა და სოციალური ჩართულობა: მე-15 მუხლის მიხედვით, გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმაში, რომელიც მოიცავს მდგრადი განვითარების სტრატეგიას, აუცილებელია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უნივერსალური დიზაინის პრინციპების დანერგვა. ეს მუხლი ასახავს სახელმწიფო ვალდებულებას, უზრუნველყოს ინკლუზიური და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული მიდგომა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში.

გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმების შემუშავებისას, ასევე აუცილებელია სოციალური ჩართულობის უზრუნველყოფა. ეს გულისხმობს, რომ ყველა მოქალაქე, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, უნდა იყვნენ ჩართულნი გარემოს დაცვის სტრატეგიების განხილვისა და დაგეგმვის პროცესში. ეს არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი თანასწორობისთვის, რადგან უნივერსალური დიზაინის პრინციპების დანერგვა უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი სტრატეგიების ინკლუზიურობასა და საყოველთაო ხელმისაწვდომობას.

კანონის მიხედვით, მოქალაქეთა უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს დაცვასთან, უნდა იყოს თანაბრად უზრუნველყოფილი და დაცული ყველა სოციალური ჯგუფისთვის, განსაკუთრებით კი იმ ჯგუფებისთვის, რომლებიც ყველაზე მეტად განიცდიან გარემოსდაცვითი პრობლემების ზეგავლენას. ამ კანონში ასახული უფლებები და ვალდებულებები, განსაკუთრებით გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის კუთხით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

3.8. საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი

საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი[17] წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო აქტს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს გარემოს, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, კულტურული მემკვიდრეობისა და მატერიალური ფასეულობების დაცვას ისეთი სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელების პროცესში, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე. კანონი უზრუნველყოფს, რომ თითოეულმა პროექტმა, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი ზეგავლენა გარემოზე, გაიაროს საფუძვლიანი და კომპლექსური გარემოსდაცვითი შეფასება. კანონი აგრეთვე განსაზღვრავს ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შემთხვევაში განსახორციელებელ პროცედურებს.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ასევე მოიცავს საზოგადოების ჩართულობის მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და საზოგადოების ჩართულობა: კოდექსის **მუხლი 2.1. (ბ)** ითვალისწინებს, რომ მოქალაქეებს ჰქონდეთ სრული და ობიექტური ინფორმაციის დროულად მიღების უფლება, რაც საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლების ნაწილია. ეს უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობას გარემოსდაცვით საკითხებში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. გარემოსდაცვითი საკითხების განხილვაში საზოგადოების მო-

17 საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი https://matsne.gov.ge/document/view/3691981?publication=13

ნაწილეობა მნიშვნელოვანია, რადგან ეს პროცესები პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მოქალაქეების ჯანმრთელობასა და ცხოვრების ხარისხზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გენდერული და სოციალური ჯგუფების, მათ შორის ქალებისა და შშმ პირების, ჩართულობას ამ პროცესებში. საზოგადოებისთვის სტრატეგიული დოკუმენტების ან საქმიანობის შედეგების შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა კრიტიკულია, რათა თავიდან ავიცილოთ გარემოზე, ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებასა და კულტურულ მემკვიდრეობაზე უარყოფითი ზემოქმედება. გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, რომ ეს პროცესი იყოს ინკლუზიური და ყველა ჯგუფისთვის არსებითად ხელმისაწვდომი.

საზოგადოების მონაწილეობის უფლებები: კოდექსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საზოგადოების მონაწილეობის უფლებებს **(მუხლი 30).** ეს უფლებები აძლევს მოქალაქეებს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რაც გულისხმობს როგორც სტრატეგიული დოკუმენტების განხილვას, ასევე საქმიანობათა განხორციელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებას. საზოგადოებისთვის გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და მათი ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების ადრეულ ეტაპზე უზრუნველყოფს, რომ გარემოსდაცვითი საკითხები განხილულ იქნეს უფრო ფართო საზოგადოებრივ და გენდერულ ჭრილში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები მისი ეფექტიანი მონაწილეობისათვის ადრეულ ეტაპზე უნდა დაიწყოს **(მუხლი 31.1. (ა)).** ეს საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის ქალებსა და შშმ პირებს, წარმოადგინონ საკუთარი შეხედულებები და ზეგავლენა მოახდინონ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ეს პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ის ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას და სოციალურ ჩართულობას გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გამჭვირვალობა: **მუხლი 33** განსაზღვრავს საზოგადოების ინფორმირების აუცილებლობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ გარემოსდაცვითი საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საზოგადოებისათვის და მათი დროული, ეფექტიანი და ადეკვატური საშუალებებით მიწოდება.

გენდერული თანასწორობა და სოციალური ჩართულობა მოითხოვს ინფორმაციის გავრცელებას ისეთ ფორმით, რომელიც ხელმისაწვდომია სხვადასხვა გენდერული და სოციალური ჯგუფისთვის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონებში და სოფლებში, სადაც ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა შეიძლება შეზღუდული იყოს. ამ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ, რომ ინფორმაცია გავრცელდეს არა მხოლოდ ელექტრონული საშუალებებით, არამედ ფიზიკურ სივრცეშიც, მაგალითად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

საზოგადოების მონაწილეობის შედეგების გათვალისწინება: კოდექსი ასევე მოითხოვს, რომ საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები და შენიშვნები გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილებების მიღებისას **(მუ-**

ხლი 35). ეს უზრუნველყოფს, რომ საზოგადოების ხმა და მისი მონაწილეობა რეალურად აისახოს საბოლოო გადაწყვეტილებებზე. გენდერული და სოციალური თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით, ეს მექანიზმი უზრუნველყოფს ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესი უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული. ეს გულისხმობს, რომ საზოგადოება უნდა იყოს ინფორმირებული იმის შესახებ, თუ როგორაა გათვალისწინებული მათი მოსაზრებები და შენიშვნები, რაც უზრუნველყოფს პროცესის სანდოობასა და სამართლიანობას.

დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობა და სოციალური ჩართულობა: კოდექსის მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას **(მუხლი 2.1. (ბ)),** რაც მოითხოვს გარემოსდაცვითი საკითხების გადაწყვეტაში საზოგადოების მაქსიმალურ ჩართულობას. სოციალური ჩართულობა და გენდერული თანასწორობა ამ პროცესებში კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან ეს უზრუნველყოფს სპეციფიკური საჭიროებების მქონე ყველა ჯგუფის თანაბარჩართულობას გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავების პროცესში.

გენდერული პერსპექტივისა და ინკლუზიის უზრუნველყოფა ასევე აუცილებელია, რათა სტრატეგიული დოკუმენტების მომზადებისა და განხორციელების პროცესი იყოს უფრო სამართლიანი და მონაწილეობითი. ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს, რომ გარემოსდაცვითი პოლიტიკა და სტრატეგიები პასუხობდეს საზოგადოების ყველა ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს.

3.9. საქართველოს კანონი წყლის რესურსების მართვის შესახებ

საქართველოს კანონი წყლის რესურსების მართვის შესახებ[18] წარმოადგენს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროს მარეგულირებელ ერთ-ერთ საკვანძო კანონს, რომელიც ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივასა და მასთან დაკავშირებულ სხვა დირექტივებს შეესაბამება. კანონის მიზანია ქვეყანაში წყლის რესურსების მართვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, რაც უზრუნველყოფს წყლის რესურსების დაცვისა და წყლის რესურსებით სარგებლობის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას, სუფთა წყალთან მოქალაქეთა წვდომის უფლებას, ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნასა და ინტეგრირებული მართვის პრინციპების შესაბამისად, წყლის რესურსების დაცვასა და მდგრად გამოყენებას. კანონი განსაზღვრავს წყლის რესურსების მდგრადი და ინტეგრირებული მართვის მექანიზმებს, რომლებიც ეფუძნება სააუზო მართვის პრინციპს და მოიცავს წყლის რესურსების შეფასებას, მონიტორინგს, ხარისხის კონტროლს და დაცვის ღონისძიებებს. კანონი აგრეთვე განსაზღვრავს წყლის რესურსების მართვის ინსტიტუციურ ჩარჩოს, რომელიც მოიცავს სახელმწიფო ორგანოებისა და სხვა შესაბამისი სტრუქტურების უფლებამოსილებებსა და პასუხისმგებლობებს.

18 საქართველოს კანონი წყლის რესურსების მართვის შესახებ
https://matsne.gov.ge/document/view/5846594?publication=0

წყალსარგებლობის ზოგადი პირობები: კანონის **მე-13 მუხლი** განსაზღვრავს წყალსარგებლობის ზოგად პირობებს, რომლთა დაცვაც უზრუნველყოფს მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებოდ გამოსაყენებელი წყლის უსაფრთხოებას. ერთ-ერთი მთავარი პრინციპია, რომ სასმელი და საყოფაცხოვრებო წყლის დაცვა დაბინძურებისგან. ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალური ინკლუზიის თვალსაზრისით, რადგან დაბალი ხარისხის წყალი ყველაზე მეტად ზიანს აყენებს სოციალურად მოწყვლად ჯგუფებს, მათ შორის ქალებს, ბავშვებს, შშმ პირებს, ეთნიკურ უმცირესობებსა და სხვადასხვა სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფებს.

კანონი ასევე ითვალისწინებს განსაკუთრებული მცირეწყლიანობის, ავარიული სიტუაციების, ეპიდემიის ან სხვა ექსტრემალურ შემთხვევებში წყლის სარგებლობის შეზღუდვის უფლებას, რათა დაცული იყოს მოსახლეობის ჯანმრთელობა და სიცოცხლე. ეს პრინციპი გულისხმობს საზოგადოების საჭიროებების პრიორიტეტულობასა და სოციალური ჩართულობის პრინციპის დაცვას გარემოსდაცვით პოლიტიკაში.

მოსახლეობის დაკმაყოფილება სასმელი და საყოფაცხოვრებო წყლით: **მე-14 მუხლში** აღნიშნულია, რომ წყლის რესურსები პირველ რიგში გამოიყენება მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ეს მუხლი წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პრინციპს, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა ჯგუფის, განსაკუთრებით სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების, წვდომას ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო წყალზე. მნიშვნელოვანია, , რომ მოსახლეობას შეეძლოს, მიიღოს წყალი უწყვეტად, საკმარისი რაოდენობითა და ხელმოსაწვდომ ფასად, რაც თანასწორობასა და ინკლუზიურობას უზრუნველყოფს.

კანონი ასევე ავალდებულებს სამინისტროს, შექმნას საზოგადოებისთვის წყლის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მექანიზმი და პერიოდულად გამოაქვეყნოს ანგარიში. ეს მიდგომა უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობასა და ინფორმირებულობას, რაც ასევე მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის კუთხით, რადგან ქალებსა და სხვა მოწყვლად ჯგუფებს ხშირად ინფორმაციაზე შეზღუდული წვდომა აქვთ.

საზოგადოების მონაწილეობა მდინარის აუზის მართვის გეგმის შემუშავების პროცესში: კანონის **25-ე მუხლი** უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობას მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმის შემუშავების პროცესში. ეს მუხლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური და გენდერული თვალსაზრისით, რადგან უზრუნველყოფს გადაწყვეტილე-

ბის მიღების პროცესში საზოგადოების ყველა ჯგუფის მონაწილეობის შესაძლებლობას. ქალების, შშმ პირების, ეთნიკური უმცირესობების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ხმა უნდა იყოს გათვალისწინებული მდინარის აუზის მართვის გეგმის შემუშავებისას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ჯგუფების ინტერესების დაცვა და მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

წყალდიდობის რისკის მართვა და სოციალური ჩართულობა: მუხლი 34 განსაზღვრავს წყალდიდობის რისკის მართვის აუცილებლობას. გარემოს ეროვნული სააგენტო და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ვალდებული არიან, განახორციელონ წყალდიდობის რისკის შეფასება და შეადგინონ შესაბამისი რუკები. ეს პროცესი უნდა ითვალისწინებდეს პოტენციური რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის რაოდენობას და ეკონომიკური საქმიანობის დაზიანების პოტენციურ რისკს.

ამ მუხლში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გენდერული და სოციალური ჯგუფების ჩართულობას, რადგან წყალდიდობის რისკის მართვა უნდა იყოს მიმართული ყველაზე მოწყვლად ჯგუფებზე, რომლებიც განსაკუთრებით განიცდიან ბუნებრივი კატასტროფების ზემოქმედებას. ქალები, ბავშვები, შშმ პირები და ეთნიკური უმცირესობები ხშირად არიან ყველაზე დაუცველი წყალდიდობისა და სხვა ბუნებრივი კატასტროფების დროს, ამიტომ მათი ინტერესები და საჭიროებები უნდა იყოს გათვალისწინებული სტრატეგიის შემუშავების პროცესში.

საზოგადოების ინფორმირება და ჩართულობა: კანონი ასევე ითვალისწინებს საზოგადოების ინფორმირების მექანიზმების შექმნას და ამ მექანიზმების მეშვეობით საზოგადოების მონაწილეობას . ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და საზოგადოების ჩართულობა არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი სოციალური ინკლუზიისთვის, რადგან ეს პროცესი უზრუნველყოფს ყველა სოციალური ჯგუფის, მათ შორის ქალების, შშმ პირების და ეთნიკური უმცირესობების თანასწორ ინფორმირებულობასა და ჩართულობას გარემოსდაცვით საკითხებში.

საზოგადოების ინფორმირების პროცესში მნიშვნელოვანია, ინფორმაცია იყოს განაწილებული სხვადასხვა ფორმით და ადაპტირებული ყველა სოციალური ჯგუფის საჭიროებებზე. ეს ნიშნავს, რომ ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი როგორც ელექტრონული, ასევე ფიზიკური ფორმით, რათა ყველა სოციალურ ჯგუფს შეეძლოს მასთან წვდომა და მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

3.10. საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ

საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ[19] მიზნად ისახავს ატმოსფერული ჰაერის ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსათვის უსაფრთხო მდგომარეობის მიღწევას, შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას, აგრეთვე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევათა სამართლებრივად რეგულირებას. კანონი ითვალისწინებს ჰაერის ხარისხის მონიტორინგს, დაბინძურების წყაროების კონტროლს, მავნე ნივთიერებების ემისიების ზღვრული ნორმების დადგენის და ხარისხის მართვის გეგმების შედგენისა და განხორციელების მოთხოვნას. ამასთანავე, კანონი ადგენს კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმებს, რომლებიც აკონტროლებს კანონმდებლობის შესრულებას და დარღვევების შემთხვევაში აწესებს შესაბამის სანქციების . აგრეთვე, კანონის მიზანია, ხელი შეუწყოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისაგან დაცვის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი ნორმების საქართველოს ტერიტორიაზე ეტაპობრივ ამოქმედებას.

19 საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16210

კანონი ასევე ყურადღებას ამახვილებს ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე. მოსახლეობისთვის რეგულარულად ხელმისაწვდომი უნდა იყოს უახლესი ინფორმაცია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის შესახებ.

კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები: კანონის **მე-3 მუხლი** განსაზღვრავს ძირითად მიზნებსა და ამოცანებს. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი მიზანია გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის ძირითადი უფლებების – ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში და სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი – ხელშეწყობა. ეს მუხლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ის უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა ჯგუფის, მათ შორის ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების, უფლებათა დაცვას.

სპეციფიკური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის, როგორებიც არიან ქრონიკული რესპირატორული დაავადებების მქონე პირები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰაერის დაბინძურებისგან დაცვის მექანიზმების უზრუნველყოფა. თუმცა, კანონის ტექსტში აღნიშნული საკითხები არ არის სათანადოდ განხილული, რაც ზიანს აყენებს ამ ჯგუფების ინტერესებსა და საჭიროებებს.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების რეგულირება და სოციალური ჩართულობა: **მუხლი 16** უზრუნველყოფს ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურებისგან დაცვის სისტემის შექმნას, რომელიც მოიცავს ადმინისტრაციულ, სამეურნეო, ტექნოლოგიურ და სხვა ღონისძიებებს. ამ მექანიზმების მიზანია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა. თუმცა, კანონის ამ ნაწილში საკმარისი ყურადღება არ ეთმობა სოციალურ ჩართულობასა და სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების დაცვას. იმ ადამიანების ინტერესები, რომლებიც ცხოვრობენ ჰაერის დაბინძურების მაღალი რისკის ზონებში და აქვთ სპეციფიკური საჭიროებები, განსაკუთრებით უნდა იქნეს გათვალისწინებული. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამსუბუქებლად აუცილებელია დამატებითი ზომების მიღება, რაც შეიძლება მოიცავდეს ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გაზრდას ამ რეგიონებში და სპეციალური პრევენციული ღონისძიებების გატარებას, მოსახლეობის ჩართულობით.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა: მუხლი 51 და მუხლი 51[1] უზრუნველყოფს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას და მის რეგულარულ განახ-

ლებას. ეს მუხლები მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირების პროცესში, რაც აუცილებელია ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებისთვის.

სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი, რათა მათ მიიღონ შესაბამისი ზომები ჯანმრთელობის დასაცავად. ამასთან, აუცილებელია, ეს ინფორმაცია იყოს ადაპტირებული მათი საჭიროებების შესაბამისად, რათა მათ მარტივად შეძლონ ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება.

კანონის ამ მუხლებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ჯგუფების ინფორმირებას, რომელთაც ყველაზე მეტად ემუქრებათ ჰაერის დაბინძურების უარყოფითი ზემოქმედება. აუცილებელია, რომ ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ იყოს განახლებული, დეტალური და ადვილად გასაგები, რათა ყველა მოქალაქემ შეძლოს დროული და ეფექტიანი ზომების მიღება.

***ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების რეგულირება:* მუხლი 22** განსაზღვრავს ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების რეგულირების მექანიზმებს, რომლებიც მოიცავს დაბინძურების წყაროების კლასიფიცირებასა და აღრიცხვას. ეს მექანიზმები უნდა ითვალისწინებდეს სოციალურ და გენდერულ ფაქტორებს, რათა ყველა სოციალური ჯგუფის, მათ შორის ქალების, ბავშვების, შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობების ინტერესები დაცული იყოს.

დაბინძურების რეგულირების პროცესში აუცილებელია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს იმ ფაქტორებს, რომლებიც განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენენ ქალებისა და ბავშვების ჯანმრთელობაზე. ამასთან, სოციალური ჩართულობის პრინციპების დაცვით, დაბინძურების რეგულირების მექანიზმები უნდა იყოს ადაპტირებული სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფებისათვის, რაც გულისხმობს უფრო დეტალურ და სიღრმისეულ მონიტორინგს იმ რეგიონებში, სადაც ჰაერის დაბინძურების დონე მაღალია.

***ჰაერის დაბინძურების შედეგების მახთვა და პრევენციული ზომები:* მუხლი 36** განსაზღვრავს, რომ საზოგადოებას აქვს უფლება, გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, თუკი მიიჩნევს, რომ კანონით დადგენილი მისი უფლებები დაირღვა. ეს მუხლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის თვალსაზრისით, რადგან ის უზრუნველყოფს, რომ ყველა მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, ასაკისა, ჯანმრთელობის

მდგომარეობისა თუ სოციალური სტატუსისა, ჰქონდეს შესაძლებლობა, დაიცვას საკუთარი უფლებები და მიიღოს სათანადო ანაზღაურება ჰაერის დაბინძურების უარყოფითი შედეგების შესამსუბუქებლად.

პრევენციული ზომების მიღება კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმ ჯგუფებისთვის, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული საჭიროებები. აუცილებელია, რომ ჰაერის დაბინძურების შედეგების მართვა იყოს მორგებული თითოეულ ჯგუფზე, რათა მათ შეძლონ, მიიღონ ის საჭირო დახმარება და დაცვა.

3.11. საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ

საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ[20] წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო აქტს, რომელიც ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე დაცული ტერიტორიების სისტემის დაგეგმვის, კატეგორიების შერჩევის, თითოეული დაცული ტერიტორიის დაარსებისა და ფუნქციონირების სამართლებლივ რეჟიმს. დაცული ტერიტორიების დაარსების და მართვის მიზნად კანონი მიიჩნევს საქართველოს ბიოგეოგრაფიული ერთეულების გრძელვადიან გარანტირებულ დაცვას, ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების, ცოცხალი ორგანიზმების დაცვას და აღდგენას, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის დაცვას და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას და სხვა. კანონი ადგენს იმ ტერიტორიების კატეგორიებს, რომლებიც განსაკუთრებული ეკოლოგიური, კულტურული და ესთეტიკური მნიშვნელობის გამო საჭიროებენ დაცვას. ***ეს კატეგორიები მოიცავს სახელმწიფო ნაკრძალებს, ეროვნულ პარკებს, ბუნებრივ ძეგლებს, აღკვეთილებს, დაცულ ландშაფტებსა დამრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებს, აგრეთვე დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელში ჩართულ კატეგორიებს – ბიოსფერულ რეზერვატს, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნებს, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიებს.*** დაცული ტერიტორიები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მათი შექმნის მიზნების, მართვის წესებისა და დაცული ობიექტების მიხედვით.

კანონი განსაზღვრავს დაცული ტერიტორიების მართვის ინსტიტუციურ ჩარჩოს და საზოგადოებრივი ჩართულობის მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების მონაწილობას დაცული ტერიტორიების მართვის პროცესში.

20 საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ
https://matsne.gov.ge/ka/document/view/32968?publication=22

დაცულ ტერიტორიებზე სპეციალური საშუალებებისა და იარაღის გამოყენების ხელფასიები: მუხლი 18[2] განსაზღვრავს სპეციალური საშუალებებისა და სამსახურებრივ-საშტატო იარაღის გამოყენების წესებს დაცულ ტერიტორიებზე. ეს მუხლი განსაკუთრეითბ მნიშვნელოვანია, რადგან ის ითვალისწინებს სოციალურ და გენდერულ ფაქტორებს, როდესაც საუბარია ორსულთა, მცირეწლოვანთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ იარაღის გამოყენებაზე. კანონით განსაზღვრულია, რომ ამ პირების მიმართ იარაღის გამოყენება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი შეიარაღებულნი ან ჯგუფურად ესხმიან თავს დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომელს და იარაღის გამოყენების გარეშე სხვა ხერხით თავდასხმის მოგერიება შეუძლებელია.

ეს რეგულაციები მნიშვნელოვანია, რადგან ისინი კანონის ძალით იცავენ ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებს. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ დაცული ტერიტორიების დამცველმა პირებმა გაითვალისწინონ სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირთა ინტერესები და განსაკუთრებული სიფრთხილით მოიქცნენ იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს მათი დაზიანების რისკი.

სოციალური დაზღვევის მექანიზმები და ინკლუზიური პოლიტიკა: მუხლი 18[3] უზრუნველყოფს სააგენტოს თანამშრომლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევას, რაც მნიშვნელოვანი სოციალური დაცვის მექანიზმია. ეს მუხლი ასევე განსაზღვრავს კომპენსაციის მოცულობას, რომელიც სააგენტოს თანამშრომლების ოჯახებს მიეცემათ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სიცოცხლის დაკარგვისა ან დაზიანების შემთხვევაში.

ამ კანონით გათვალისწინებული სოციალური დაზღვევის მექანიზმები მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალური ინკლუზიის უზრუნველყოფაში, რადგან ისინი უზრუნველყოფენ ყველა თანამშრომლის თანაბარ დაცვას, განურჩევლად სქესისა, ასაკისა თუ ფიზიკური მდგომარეობისა. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ დაზღვევის პირობები და სოციალური დაცვის მექანიზმები იყოს ადაპტირებული სპეციფიკური საჭიროებების მქონე თანამშრომლებისთვის, რათა მათ მიეცეთ თანაბარი წვდომა დაზღვევის სერვისებსა და შესაბამის დახმარებაზე.

მოსახლეობასთან და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან თანამშრომლობა: მუხლი 22 ადგენს მოსახლეობასა და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან თანამშრომლობის ზოგად წესებს, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობას დაცული ტერიტორიების მართვის პროცესში, თუმცა არ განსაზღვრავს კონკრეტულ სოციალურ ჯგუფებს და მხოლოდ ზოგადად საზოგადოებას მოიაზრებს. ამ მუხლის თანახმად, მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენლებს აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ დაცული ტერიტორიების დაარსების, განვითარების, შემცირებისა და გაუქმების, ასევე მენეჯმენტის გეგმების, ადმინისტრაციული ორგანოების დებულებებისა და სხვა დოკუმენტების განხილვისა და შესწორების პროცესში. ასევე, მათ აქვთ უფლება, ჩაერთონ დაცული ტერიტორიებისა და ბუფერული ზონების მოვლა-პატრონობისა და მართვის პროცესში.

იმისთვის, რომ დაცული ტერიტორიების მართვა ასახავდეს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესებსა და საჭიროებებს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა უნდა მიიღონ ქალებმა, შშმ პირებმა, ეთნიკურმა უმცირესობებმა და სხვა სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფებმა.

3.12. საქართველოს კანონი ტყის კოდექსი

საქართველოს კანონი ტყის კოდექსი[21] *წარმოადგენს* ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო აქტს, რომელიც აწესრიგებს ტყის მართვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს და მიზნად ისახავს საქართველოს ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვას, ტყის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების შესასრულებლად მისი თვისებრივი მახასიათებლების, აგრეთვე ტყის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას. ის განსაზღვრავს ტყის მართვის ძირითად პრინციპებს, ტყეების ფუნქციურ კატეგორიზაციას, ტყის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების პროცედურებს და სატყეო პოლიტიკის, საქართველოს ტყის მართვისა და ზედამხედველობის სფეროში უფლებამოსილებებს. კოდექსი მოიცავს ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და ტყითსარგებლობის რეგულირების საკითხებს, აგრეთვე ტყის დაცვის აღდგენა-გაშენების და მოვლის ღონისძიებებს.

ტყის მდგრადი მართვის პრინციპები და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება: მე-4 მუხლის მიხედვით, საქართველოს ტყის მდგრადი მართვის პრინციპები გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას ტყის მართვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის თვალსაზრისით, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც სოფლად ცხოვრობს და უმეტესად დიდი ხნის ტრადიციებით არის დაკავშირებული ტყესთან, მრავალფეროვან სოციალურ ჯგუფებს მოიცავს. ქალები, შშმ პირები და სხვა სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფები ხშირად დამოკიდებული არიან ტყის რესურსებზე, როგორც საარსებო წყაროზე. ტყის საერთო სარგებლობის პრინციპი, რომელიც ამ კოდექსით არის განსაზღვრული, უზრუნველყოფს ტყის რესურსებზე თანაბარ წვდომას ყველა სოციალური ჯგუფისთვის. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ეს პრინციპი განხორციელდეს ისე, რომ არ მოხდეს ქალების, შშმ პირებისა და სხვა ჯგუფების ინტერესების უგულებელყოფა. მათ უნდა მიეცეთ თანასწორი შესაძლებლობა, ისარგებლონ ტყის რესურსებით და მონაწილეობა მიიღონ ტყის მართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებების მიღების დროს.

---

21 საქართველოს კანონი ტყის კოდექსი
https://matsne.gov.ge/document/view/4874066?publication=6

ინფორმირების და ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობა: მუხლი 16 ხაზს უსვამს მოსახლეობის ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობას ტყის რესურსების შესახებ. ეს მუხლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გენდერული და სოციალური პერსპექტივის თვალსაზრისით, რადგან ინფორმაცია და განათლება არის ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ყველა ჯგუფის ჩართულობასა და აქტიურ მონაწილეობას ტყის მართვაში.

ტყის რესურსების შესახებ ინფორმაციის მიწოდება უნდა იყოს ინკლუზიური და ადაპტირებული სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებების შესაბამისად. ქალები, შშმ პირები, ეთნიკური უმცირესობები და სხვა ჯგუფები უნდა იყვნენ სრულად ინფორმირებულნი და ჩართულნი ტყის მართვის პროცესებში. ეს ხელს შეუწყობს მათ მიიღონ დამოუკიდებელი, სათანადო ინფორმაციით გამყარებული გადაწყვეტილებები და საშუალებას მისცემს, უკეთ გამოიყენონ ტყის რესურსები, როგორც საარსებო წყარო.

საზოგადოების მონაწილეობა ტყის მართვაში: მუხლი 17 უზრუნველყოფს საზოგადოების, მათ შორის, დაინტერესებული მხარეების, მონაწილეობის უფლებას ტყის მართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეს მუხლი არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის თვალსაზრისით, რადგან ის მოითხოვს ადგილობრივი მოსახლეობის იდენტობის, კულტურის და ტრადიციების გათვალისწინებას ტყის მართვაში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალების, შშმ პირების და ეთნიკური უმცირესობების ჩართულობას. მნიშვნელოვანია, რომ ამ ჯგუფებს მიეცეთ არსებითად თანასწორი შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც უკავშირდება ტყის რესურსების გამოყენებას და მართვას. მათი ხმა უნდა იყოს გათვალისწინებული, რადგან მათი საჭიროებები და ინტერესები ხშირად განსხვავდება სხვა ჯგუფების საჭიროებებისგან.

ტყეში შესვლისა და გადაადგილების უფლება: 31-ე მუხლის მიხედვით, ყველას აქვს უფლება, დასვენებისა და გართობის მიზნით იმყოფებოდეს და თავისუფლად გადაადგილდეს ტყეში. ეს მუხლი უზრუნველყოფს ყველასთვის თანაბარ წვდომას ტყის რესურსებით სარგებლობაზე. თუმცა, აუცილებელია, რომ ეს უფლება უზრუნველყოფდეს ყველა სოციალური ჯგუფის, მათ შორის, ქალების, შშმ პირების, ეთნიკური უმცირესობების და სხვა სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების ინტერესებს. ტყეში შესვლის და გადაადგილების უფლება არ უნდა იყოს შეზღუდული ან დისკრიმინაციული. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ტყის რესურსე-

ბით სარგებლობის უფლება იყოს ადაპტირებული და ინკლუზიური, რათა ყველა მოქალაქემ, განურჩევლად სოციალური სტატუსისა, შეძლოს ტყის რესურსებით სარგებლობა.

3.13. საქართველოს კანონი ნარჩენების მართვის კოდექსი

საქართველოს კანონი ნარჩენების მართვის კოდექსი[22] ქმნის სამართლებრივ საფუძლებს ისეთი ღონისძიებების განხორციელებისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობს ნარჩენების პრევენციას და მათი ხელახალი გამოყენების ზრდას, ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავებას. კოდექსის ამოცანაა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა ნარჩენების წარმოქმნის და მათი უარყოფითი გავლენის პრევენციით ან შემცირებით, მართვის ეფექტიანი მექანიზმების შექმნით და რესურსების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირებითა და რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენებით. კოდექსი განსაზღვრავს ნარჩენების მართვის იერარქიას, ძირითად პრინციპებსა და კომპეტენციებს. აგრეთვე ნარჩენების აღრიცხვისასა და ანგარიშგების მოთხოვნებს, სფეროსთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებსა და შესაბამის სანქციებს.

კოდექსის მუხლი 12 განსაზღვრავს ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების მოთხოვნებს, რომელთა შორის არის საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები და მისი ინფორმირების მექანიზმები ნარჩენების მართვის საკითხებზე. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მუხლი ეხება საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, დოკუმენტში მინიმალურად არის წარმოდგენილი ინფორმაცია გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის თემატიკაზე.

კოდექსში არ არის საკმარისი დეტალები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ქალების, შშმ პირებისა და სხვა სპეციფიკური ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინება ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. შესაბამისად, აუცილებელია, რომ ამ კოდექსში უფრო დეტალურად იყოს გაწერილი, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის, განსაკუთრებით კი ქალებისა და შშმ პირების, ჩართულობა და მათი ინტერესების გათვალისწინება ნარჩენების მართვის საკითხებში. ეს უზრუნველყოფს ნარჩენების მართვის პროცესის მეტად ინკლუზიურობას და თანასწორობას, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობასა და პასუხისმგებლობის გაზიარებას ამ მნიშვნელოვან საკითხზე.

---

22 საქართველოს კანონი ნარჩენების მართვის კოდექსი
https://matsne.gov.ge/document/view/2676416?publication=15

3.14. საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ

საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ[23] არეგულირებს გარემოსთვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს პრინციპის "დამბინძურებელი იხდის" შესაბამისად. კანონი ადგენს გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების პრევენციასთან, გარემოსთვის მიყენებული ***ზიანის ან გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის შეჩერებასთან, გარემოსთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში განსახორციელებელ ღონისძიებებთან (მათ შორის, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელებასა და გარემოსთვის მიყენებული ზიანისა და გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის ანაზღაურებასთან) დაკავშირებულ სამართლებრივ ნორმებს.***

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კანონი არ ითვალისწინებს ინფორმაციას გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის თემატიკაზე. უფრო მეტიც, კანონში არ არის მუხლები, რომლებიც შეეხება ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას, რაც კიდევ უფრო მეტად ართულებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის, განსაკუთრებით კი ქალების, შშმ პირების, ეთნიკური უმცირესობებისა და სხვა სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების ჩართულობას გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის საკითხებში.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ მომავალში აღნიშნული კანონმდებლობა განვითარდეს და მასში უფრო სრულყოფილად აისახოს გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის პრინციპები, რაც უზრუნველყოფს ყველა სოციალური ჯგუფისთვის არსებითად თანასწორი ხელმისაწვდომობას ინფორმაციაზე და მათი ჩართულობას გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის განხორციელების პროცესში.

23 საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ
https://matsne.gov.ge/ka/document/view/5109151?publication=1

3.15. საქართველოს კანონი სამრეწველო ემისიების შესახებ

საქართველოს კანონი სამრეწველო ემისიების შესახებ[24] მიზნად ისახავს სამრეწველო საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში, წყალსა და მიწაში ემისიების პრევენციას, ხოლო იქ, სადაც ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, მათ შემცირებასა და კონტროლს, ასევე ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას. კანონი განსაზღვრავს დაბინძურების გამომწვევი სამრეწველო საქმიანობის განხორციელებისთვის ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის წესს, პირობებს და ამ პირობების შესრულების კონტროლს, ასევე სახელმწიფო ორგანოებისა და ფიზიკური/იურიდიული პირების უფლებებსა და მოვალეობებს. კანონის დანართში ჩამოთვლილია დაბინძურების გამომწვევ ის სამრეწველო საქმიანობები, რომლებზეც ვრცელდება კანონის მოქმედება.

საზოგადოების მონაწილეობა და ჩართულობა: კანონის მე-12 მუხლი განსაზღვრავს საზოგადოებისთვის სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მის მიერ მოსაზრებების წარდგენის უფლებას. ეს პროცესი მნიშვნელოვანია, რადგან ის უზრუნველყოფს საზოგადოების შესაძლებლობას, გამოხატონ თავისი შეხედულებები და შეშფოთება ინდუსტრიული საქმიანობების შესახებ, რომლებიც შესაძლოა ზემოქმედებას ახდენდეს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. კანონის შესაბამისად, გარემოს ეროვნული სააგენტო ვალდებულია, განიხილოს წარმოდგენილი მოსაზრებები და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, გაითვალისწინოს ისინი გადაწყვეტილების მიღებისას.

საჯარო განხილვები და ინკლუზიურობა: მე-16 მუხლში აღნიშნულია ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესში საჯარო განხილვის აუცილებლობა. კანონის მიხედვით, საჯარო განხილვა ტარდება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე ადმინისტრაციულ ორგანოში, რაც მიზნად ისახავს საზოგადოების მაქსიმალურ ჩართულობას. ეს პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის კუთხით. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ეს საჯარო განხილვა იყოს მართლაც ინკლუზიური და ყველა მონაწილე ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი. ეს გულისხმობსგანსაკუთრებული ყურადღების დათმობას სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების ინფორმირებისა და მონაწილეობისათვის. საჯარო განხილვებში მონაწილეობისათვის აუცილებელია არა მხოლოდ ფიზიკური ხელმისაწვდომობა, არამედ მათი კულტურული, სოციალური და ენობრივი თავისებურებების გათვალისწინებაც.

---

24 საქართველოს კანონი სამრეწველო ემისიების შესახებ
https://matsne.gov.ge/ka/document/view/5845429?publication=1

ცვლილებების შეტანა და ინფორმირება: მუხლი 19 და მუხლი 25 ხაზს უსვამს საქმიანობის ცვლილებების შემთხვევაში გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების მნიშვნელობას. ეს პროცესი უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი ცვლილება ინდუსტრიულ საქმიანობებში მოხდეს საზოგადოების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეს მუხლები ითვალისწინებს ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე ზემოქმედების რისკების შეფასებას. ამ მხრივ, აუცილებელია შეფასების პროცესში გენდერული და სოციალური ფაქტორების გათვალისწინება.

25-ე მუხლში აღნიშნულია, რომ გარემოსდაცვითი რისკების შეფასება ეფუძნება სხვადასხვა კრიტერიუმს, რომლებიც მოიცავს საქმიანობის პოტენციურ და რეალურ ზემოქმედებას ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე. ეს მოიცავს ემისიის დონისა და სახეობის, ასევე ადგილობრივი გარემოს თავისებურებებისა და კატასტროფის რისკის გათვალისწინებას. აღნიშნული მუხლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ითვალისწინებს ჯანმრთელობისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში სოციალური და გენდერული ფაქტორების გათვალისწინებას, თუმცა, მათზე კონკრეტული ხაზგასმა არ ხდება.

ამასთან, კანონში არ არის სრულად ასახული, თუ როგორ ხდება ქალების, შშმ პირების და სხვა ჯგუფების ინტერესების გათვალისწინება სამრეწველო ემისიების მართვასთან დაკავშირებულ პროცესებში. ეს კი, თავის მხრივ, ქმნის რისკს, რომ სამრეწველო ემისიების ზემოქმედების პროცესში ამ ჯგუფების სპეციფიკური საჭიროებები შესაძლოა უგულებელყოფილი დარჩეს. აუცილებელია, რომ მომავალი რეგულაციები და კანონმდებლობა უფრო დეტალურად და მასშტაბურად მოიცავდეს ამ საკითხებს, რათა დაცული იყოს გენდერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის პრინციპები სამრეწველო ემისიების მართვის ყველა ეტაპზე.



4. ძირითადი მიგნებები



4. ძირითადი მიგნებები

საქართველოს გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროს პოლიტიკისა და კანონმდებლობის სწრაფმა ანალიზმა გამოავლინა რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომლებიც უნდა განიხილებოდეს გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის კუთხით.

1. გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის პრინციპების ნაკლებობა:

კვლევის ფარგლებში შესწავლილი საქართველოს გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილების სფეროში არსებული დოკუმენტების უმრავლესობა გენდერულად ნეიტრალურია. დოკუმენტები ძირითადად არ ასახავს ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებს. დოკუმენტები, რომლებიც უნდა იყოს ინკლუზიური და მოიცავდეს ყველა ჯგუფის ინტერესებს, არ უზრუნველყოფს საკმარის ჩართულობას და არ აღიარებს გენდერული საკითხების მნიშვნელობას.

2. საზოგადოების ჩართულობის სუსტი მექანიზმები:

გარემოს დაცვის სფეროში საზოგადოებრივი მონაწილეობის მექანიზმები არასაკმარისად დაკონკრეტებულია. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს საზოგადოების ჩართულობის უფლებას, კონკრეტული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების ყველა ჯგუფის, განსაკუთრებით კი ქალებისა და შშმ პირების რეალურ ჩართულობას, არ არსებობს.

3. გენდერული თანასწორობის ინტეგრაციის ნაკლებობა პოლიტიკის დოკუმენტებში:

გენდერული საკითხების ინტეგრაცია პოლიტიკის დოკუმენტებში უმნიშვნელოვანესია, თუმცა, პოლიტიკის მრავალი დოკუმენტი არ ითვალისწინებს გენდერულ ზეგავლენას. ამ დოკუმენტებში არ დასტურდება, რომ ქალებისა და მამაკაცების, ასევე სხვა მოწყვლადი ჯგუფების გამოცდილება და საჭიროებები შეიძლება განსხვავებული იყოს, ამიტომ საჭიროა გენდერულად სენსიტიური პოლიტიკის შემუშავება.

4. სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის ნაკლებობა:

საქართველოს გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების პოლიტიკის დოკუმენტებში სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის საკითხი თითქმის უგულებელყოფილია. სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემები აუცილებელია გენდერული ზეგავლენის შესაფასებლად და იმისთვის, რომ პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში გათვალისწინებული იყოს ქალებისა და მამაკაცების განსხვავებული საჭიროებები. მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის პროცესში არ არის გათვალისწინებული გენდერული პერსპექტივა, რაც არსებითი გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ბარიერად რჩება.

5. ტექნოლოგიური განვითარება და ქალების როლი:

გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროში ტექნოლოგიური განვითარების პროცესებში ქალების ჩართულობა უმნიშვნელოვანესია. თუმცა, პოლიტიკის დოკუმენტებში ქალების როლი ნაკლებად აღიარებული და დაფასებულია. მათი ჩართულობის უზრუნველყოფა უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა ტექნოლოგიური პროგრესი იყოს ინკლუზიური და გენდერულად სენსიტიური.

6. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა:

ბევრ დოკუმენტში საკმარისი ყურადღება არ ეთმობა ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას. ეს განსაკუთრებით პრობლემატურია, როდესაც საქმე ეხება სპეციალური საჭიროებების მქონე ჯგუფების ან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ჩართულობას. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საჭიროა დამატებითი ძალისხმევა, რათა ყველა ჯგუფს ჰქონდეს თანაბარი წვდომა გარემოსდაცვით ინფორმაციაზე.

7. გენდერული პერსპექტივის ნაკლებობა გარემოსდაცვით განათლებაში:

გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების ამაღლების პროგრამები უმნიშვნელოვანესია გენდერული თანასწორობის მისაღწევად. თუმცა, ანალიზმა აჩვენა, რომ დოკუმენტებში ეს საკითხი ნაკლებად არის განხილული, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის ქალების, ახალგაზრდებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების განათლებისა და ცნობიერების ამაღლებას გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების შესახებ.

8. გენდერული და სოციალური ზეგავლენის შეფასების აუცილებლობა:

დოკუმენტებში ხაზგასმული არ არის გენდერული და სოციალური ზეგავლენის შეფასების მნიშვნელობა, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს არსებითი გენდერული თანასწორობის დამკვიდრების პროცესში. აუცილებელია, რომ პოლიტიკის დოკუმენტები და კანონმდებლობა უფრო დეტალურად და მასშტაბურად მოიცავდეს ამ შეფასებებს.

9. გენდერულად სენსიტიური ბიუჯეტირების არარსებობა:

გენდერულად სენსიტიური ბიუჯეტირება უმნიშვნელოვანესია გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად. ანალიზმა აჩვენა, რომ ეს საკითხი თითქმის უგულებელყოფილია. გენდერული თვალსაზრისით პასუხისმგებლობის მქონე ბიუჯეტირება საშუალებას იძლევა, რომ ბიუჯეტის დაგეგმვისა და განაწილების პროცესში გათვალისწინებული იყოს ქალებისა და მამაკაცების, ასევე სპეციფიკური ჯგუფების საჭიროებები და პრიორიტეტები. ამ

ტიპის ბიუჯეტირების არარსებობა ხელს უშლის გენდერული საკითხების ადეკვატურ ინტეგრაციას პოლიტიკის დოკუმენტებში და იწვევს გენდერული უთანასწორობის გაღრმავებას.

10. პოლიტიკის ფორმირების პროცესში გენდერული ექსპერტიზის ნაკლებობა:

გენდერული ექსპერტიზა და შესაბამისი უნარებ-ჩვევების განვითარება პოლიტიკის ფორმირების პროცესში უმნიშვნელოვანესია. თუმცა, ანალიზმა აჩვენა, რომ გენდერული ექსპერტიზის როლი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისა და განხილვის პროცესში უმეტესად არასაკმარისი ან არარსებულია. ეს ხელს უშლის გენდერული საკითხების ადეკვატურ გათვალისწინებასა და ისეთი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც რეალურად პასუხობს ქალებისა და მამაკაცების განსხვავებულ საჭიროებებს.

11. გენდერული საკითხების ინტეგრაციისადმი ზოგადი მიდგომის სიმცირე:

პოლიტიკის დოკუმენტებში გენდერული საკითხების ინტეგრაცია ხშირ შემთხვევაში ზედაპირულია და არ იძლევა კონკრეტულ და ეფექტიან შედეგებს. ეს აისახება როგორც სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების ნაკლებობაზე, ასევე გენდერულად სენსიტიური ბიუჯეტირების არარსებობაზე. ხშირად, გენდერული საკითხების ინტეგრაცია ფორმალურად ხდება და არ ითვალისწინებს რეალურ გენდერულ საჭიროებებსა და პრიორიტეტებს.

12. გენდერული ანალიზის ინსტრუმენტებისა და მიდგომების გამოყენების ნაკლებობა:

გენდერული ანალიზის ინსტრუმენტებისა და მიდგომების გამოყენება უმნიშვნელოვანესია პოლიტიკის დოკუმენტების გენდერული სენსიტიურობის შესაფასებლად. თუმცა, ანალიზმა აჩვენა, რომ ეს ინსტრუმენტები ხშირად არ გამოიყენება ან გამოყენებულია ზედაპირულად. ეს იწვევს იმას, რომ პოლიტიკის დოკუმენტებში გენდერული საკითხები სათანადოდ არ არის გათვალისწინებული და სათანადოდ არ ფასდება გენდერული ზეგავლენა.

13. გენდერული და სოციალური ზეგავლენის შეფასების პროცედურების არარსებობა:

გენდერული და სოციალური ზეგავლენის შეფასება არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი გენდერულად სენსიტიური პოლიტიკის ფორმირებისთვის. ანალიზმა აჩვენა, რომ ეს პროცედურები არ არის შესაბამისად შემუშავებული და სათანადოდ არ გამოიყენება პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცესში. ეს ხელს უშლის გენდერულად სენსიტიური და ინკლუზიური პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებას.

ამრიგად, ძირითადი მიგნებები აჩვენებს, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების პოლიტიკაში გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის ასპექტების ინტეგრაცია არასაკმარისად არის უზრუნველყოფილი. ამ საკითხების გაუმჯობესება და გაძლიერება აუცილებელია ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის, რაც მოითხოვს უფრო მეტად გენდერულად სენსიტიური და ინკლუზიის მექანიზმების ინტეგრირებას პოლიტიკის ფორმირებისა და აღსრულების ყველა ეტაპზე.

5. რეკომენდაციები

საქართველოს გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროს პოლიტიკისა და კანონმდებლობის სწრაფი ანალიზის საფუძველზე, შემუშავებულია შემდეგი რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის პრინციპების უკეთ ინტეგრირებას. შესაძლებელია ამ რეკომენდაციების სახელმძღვანელოდ გამოყენება პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის უფრო ინკლუზიური, ეფექტიანი და სამართლიანი პოლიტიკის ფორმირების მიზნით. პოლიტიკაში გათვალისწინებული იქნება საქართველოს მოსახლეობის ყველა ჯგუფის საჭიროებები და პრიორიტეტები.

1. ქალებისა და სპეციფიკური საჭიროებების მქონე სხვადასხვა ჯგუფის მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

რეკომენდაცია: შეიქმნას კონკრეტული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ქალების, ეთნიკური უმცირესობების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და სხვა სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების აქტიურ ჩართულობას გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების საკითხებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ყველა დონეზე.

არგუმენტი: ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღება იძლევა უფრო მდგრადი შედეგების მიღწევის საშუალებას, რადგან ის აერთიანებს მრავალფეროვან პერსპექტივებს და ყურადღებას უთმობს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის განსაკუთრებულ საჭიროებებს.

2. სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის ინსტიტუციონალიზაცია

რეკომენდაცია: შემუშავდეს სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის სავალდებულო ჩარჩო გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროს პოლიტიკისა და ყველა პროგრამისთვის.

არგუმენტი: სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების არარსებობა ართულებს სხვადასხვა ჯგუფზე გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროს პოლიტიკის ეფექტიან და შედეგზე ორიენტირებულ განხორციელებას.

3. გენდერულად სენსიტიური ბიუჯეტირების დანერგვა

რეკომენდაცია: გენდერულად სენსიტიური ბიუჯეტირება უნდა ინტეგრირდეს გარემოს დაცვასა და კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული ინიციატივების დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე. ბიუჯეტის განაწილება ორიენტირებული უნდა იყოს ქალებისა და სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების გამოწვევებსა და პრიორიტეტებზე.

არგუმენტი: გენდერულად სენსიტიური ბიუჯეტირება უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობას ფინანსური რესურსების განაწილებისას და ხელს უწყობს საზოგადოების ყველა ჯგუფის ჩართულობას გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში.

4. გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილების საკითხებზე გენდერულად სენსიტიური განათლების პროგრამების შემუშავება

რეკომენდაცია: გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების საკითხებზე შემუშავდეს გენდერულად სენსიტიური განათლების პროგრამები, სადაც ყურადღება მიექცევა სხვადასხვა სქესის ადამიანების განსხვავებულ საჭიროებებსა და პრიორიტეტებს, რაც ხელს შეუწყობს გენდერულად სენსიტიური ადაპტაციის სტრატეგიების განვითარებას.

არგუმენტი: განათლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოების შესაძლებლობების გაზრდაში, რათა მან უკეთ უპასუხოს გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების გამოწვევებს.

5. გარემოზე ზეგავლენის შეფასებაში სოციალური ჩართულობის პრინციპების ინტეგრაცია

რეკომენდაცია: გარემოზე ზეგავლენის შეფასების პროცედურებსა და ყველა ძირითად პროექტში აუცილებელი კომპონენტი უნდა იყოს სოციალური ჩართულობისა და გენდერული ზეგავლენის შეფასება.

არგუმენტი: გარემოზე ზეგავლენის შეფასება ხშირად უგულებელყოფს გარემოს დაცვის პროექტებში სოციალურ და გენდერულ ასპექტებს, რაც შეიძლება უარყოფითად აისახოს მოწყვლად მოსახლეობაზე.

6. გენდერულად სენსიტიური და ინკლუზიური ადაპტაციისა და შერბილების სტრატეგიების განვითარება

რეკომენდაცია: კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და შერბილების სტრატეგიები შემუშავდეს და განხორციელდეს ქალებისა და სპეციფიკური საჭიროებების მქონე სხვადასხვა ჯგუფის მონაწილეობითა და მათი პრიორიტეტების გათვალისწინებით, მათ შორის სოფლად და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთა ჩართულობით.

არგუმენტი: გენდერულად სენსიტიური და ინკლუზიური სტრატეგიები ხელს უწყობს სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების მედეგობის ზრდასა და ადაპტაციას.

7. მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაძლიერება

რეკომენდაცია: გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის ვალდებულებების შესრულების მიმართ გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროს პოლიტიკის მონიტორინგის ჩასატარებლად შემუშავდეს მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები.

არგუმენტი: აუცილებელია, რომ პოლიტიკა იყოს არა მხოლოდ კარგად შემუშავებული, არამედ ეფექტიანად განხორციელებული.

8. თანამშრომლობის გაძლიერება სამოქალაქო საზოგადოებასთან და სათემო ორგანიზაციებთან

რეკომენდაცია: გაძლიერდეს პარტნიორობა სამოქალაქო საზოგადოებასთან და სათემო ორგანიზაციებთან, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ გენდერულ თანასწორობაზე და სოციალურ ჩართულობაზე.

არგუმენტი: სამოქალაქო საზოგადოებას და სათემო ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების უფლებების დაცვისა და გენდერულად სენსიტიური პოლიტიკის განხორციელებაში.

9. გენდერული "მეინსტრიმინგის" ტრენინგი პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის

რეკომენდაცია: პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის დაინერგოს გენდერული „მეინსტრიმინგის" პერიოდული ტრენინგები.

არგუმენტი: გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის პრინციპების ეფექტიანი ინტეგრაციისთვის აუცილებელია პოლიტიკის შემმუშავებლების ცოდნისა და უნარ-ჩვევების დონის ამაღლება.

10. გენდერულად სენსიტიური ინოვაცია და კვლევა

რეკომენდაცია: გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროში კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს გენდერულად სენსიტიური გადაწყვეტილებებს მიღებას გარემოსდაცვით გამოწვევებთან დაკავშირებით.

არგუმენტი: ინოვაციური მიდგომები აუცილებელია კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დაცვის გამოწვევებთან საბრძოლველად, ხოლო კვლევა ხელს შეუწყობს გენდერულად სენსიტიური გადაწყვეტილებების მიღებას.

6. დანართი

ანალიზის პროცესში გამოყენებული პოლიტიკის დოკუმენტები და კანონები:

1. საქართველოს ეროვნული დონის პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტები გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილების სფეროში

1. *2022 – 2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა* https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5563250?publication=0 (დანართები)

2. *საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია* https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5147380?publication=1 (დანართი)

3. *საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა* https://www.economy.ge/uploads/files/2017/energy/2024/sakartvelos_sakhelmcifos_energetikuli_politika_damtkicebuli_24/sakartvelos_energetikisa_da_klimatis_erovnuli_integrirebuli_gegma_damtkicebuli_.pdf

4. *საქართველოს გრძელვადიანი დაბალემისიიანი განვითარების კონცეფცია* https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5788653?publication=0

5. *ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია* https://matsne.gov.ge/ka/document/view/3242506?publication=1 (დანართი)

6. *საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია* https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2157869?publication=0

2. საქართველოს ძირითადი კანონები გარემოს დაცის სფეროში

1. *საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ*
   https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=33
2. *საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი*
   https://matsne.gov.ge/document/view/3691981?publication=13
3. *საქართველოს კანონი წყლის რესურსების მართვის შესახებ*
   https://matsne.gov.ge/document/view/5846594?publication=0
4. *საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ*
   https://matsne.gov.ge/ka/document/view/16210
5. *საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ*
   https://matsne.gov.ge/ka/document/view/32968?publication=22
6. *საქართველოს კანონი ტყის კოდექსი*
   https://matsne.gov.ge/document/view/4874066?publication=6
7. *საქართველოს კანონი ნარჩენების მართვის კოდექსი*
   https://matsne.gov.ge/document/view/2676416?publication=15
8. *საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ*
   https://matsne.gov.ge/ka/document/view/5109151?publication=1
9. *საქართველოს კანონი სამრეწველო ემისიების შესახებ*
   https://matsne.gov.ge/ka/document/view/5845429?publication=1

საქართველოს გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროს პოლიტიკასა და კანონმდებლობაში

გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის

სწრაფი ანალიზი

WFD

UKaid